ბალის რაიონში დამატებითი ძალები შეჰყავთ A2

სააკაშვილი რეიტინგებმა შეაფიქრიანა A4

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ხუთშაბათი, 18 სექტემბერი, 2003 წელი. №249 (461)

ფასი 30 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

## ჩუბაისს გრძელი ხელები აქვს

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთის მთავარმა ენერგეტიკოსმა, ტოპ-მენეჯერმა, პოსტსაბჭოთა სივრცეში რაო ეესის საუკეთესო ლობისტმა და უბრალოდ, შესანიშნავმა პოლიტტექნოლოგმა ანატოლი ჩუბაისმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა რეკორდულ რიცხვს მოუყარა თავი. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან მოსკოვში აკრედიტებული ჟურნალისტებიდან, ვინც კი რია ნოვოსტის სააგენტოში ჩუბაისის პრესკონფერენციას ესწრებოდა, ეჭვიც კი აღარავის დარჩა, რომ კრემლის მთავარი, კონფიდენციალური სტრატეგი ჩუბაისი გრძელვადიანი ენერგეტიკული პროექტებით იპყრობს არა მარტო ახლო, შორ საზღვარგარეთსაც. მისი ენერგეტიკული მადის დაკმაყოფილებას პიკანტურობაც არ აკლია. ჩუბაისი გვპირდება, რომ რაოს პროექტები კორეასაც მისწვდება და იაპონიასაც - მართალია, ხელს ის გვიშლის, რომ "კუნძულია", ყველა მხრიდან ოკეანითაა შემორტყმული, მაგრამ არა უშავს, ჩვენ გრძელი ხელები გვაქვსო.

კარგი მადის გვერდით შავი იუმორის გრძნობასაც ვერ წაართმევ, მაგრამ მის შავ იუმორს ჟურნალისტები პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ და პასუხად ახლადმოვლენილ ნაპოლეონს არქმევენ. ჩუბაისს ეს არ სწყინს. "ყველა ქვეყანაში, სადაც კი რაო ეესმა ექსპორტი დააპირა, პროამერიკული და ანტირუსული ლობი დაგვიხვდა გააქტიურებული - ამაზე რომანის დაწერაც შეიძლება," - ამბობს ჩუბაისი და ტიპურ მაგალითად საქართველოში აშშ ელჩის მოღვაწეობას ასახელებს. რეპლიკა: "ტყუილად გვარწმუნებს ამერიკა, რომ საქართველოში ცუდი საინვესტიციო კლიმატია. მე ვთვლი, რომ იქ მზარდი ბაზარია, რომელიც ნორმალური ბიზნესპარტნიორობისათვის კარგ ნიადაგს იძლევა."

გაგრძელება A4 გვერდზე

## პრეზიდენტი, ჩვეულებისამებრ, დიდი შემართებით მიემგზავრება

თამარ ხორბალაძე

დღეს საქართველოს პრეზიდენტი იალტაში მიემგზავრება, სადაც "აფხაზეთსა და რუსეთის ბაზების დავალიანების საკითხებზე, დსთ-ს უმოქმედობაზე" მსჯელობას დაგვპირდა. თუმცა, თუ საქართველოს პრეზიდენტის დსთ-ს სივრცეში ვოიაჟების ბოლოდროინდელ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, სასიკეთო პროგნოზის გაკეთება აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით ნამდვილად გაჭირდება. მეორე მხრივ კი, მოსალოდნელი არჩევნების გამო, საქართველოს პრეზიდენტი გარეგნულად, შესაძლოა, ძალზე შემტევი და კატეგორიული გახლდეთ.

გაგრძელება A4 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | |
| ქუთაისი | 20 | |
| ბათუმი | 17 | |
| სოხუმი | 19 | |
| ფოთი | 19 | |
| თელავი | 16 | |
| ზუგდიდი | 21 | |
| გორი | 15 | |
| ახმეტა | 17 | |
| ჭიათურა | 17 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1375 |
| ევრო | 2.3951 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4322 |
| რუბლი | 0.0705 |

# "გაზპრომისა" და საქართველოს ხელისუფალთა გაუცხადებელი გეგმები

*"გაზპრომის" ინტერესები საქართველოში შორს სცილდება ჩვეულებრივ კომერციულ ურთიერთობებს. რუსულ ენერგოგიგანტს გაცილებით შორს მიმავალი მიზნები ამოძრავებს. ამ მიზნების დასაკმაყოფილებლად ის ყოველ ღონეს მიმართავს, და შეეცდება, რომ საქართველოს გაზის ინფრასტრუქტურა მისი სრული კონტროლის სფეროში მოექცეს," – მიიჩნევენ არასამთავრობო ორგანიზაცია "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის" ექსპერტები დევი ხეჩინაშვილი და ლიანა ჯერვალიძე. მათი ვარაუდების გაცნობის შემდეგ ისინი "24 საათმა" რედაქციაში მოიწვია და მათთან ერთად შეეცადა, მკითხველისათვის დაეხატა ის დღემდე გაუცხადებელი ფარული სქემები, რომელთა შესახებაც ხელისუფლებაში ხმამაღლა არ საუბრობენ.*




მაია ურუშაძე

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, "გაზპრომი" საქართველოს გავლით ევროპისაკენ მიიწევს. 2010 წლისთვის ევროპაში გაზზე მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზრდება. "გაზპრომი" კი, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ექსპერტთა გათვლებით, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ირანის საბადოზე მოპოვებული გაზით გეგმავს, რომელიც მან ირანიდან ევროპისაკენ სომხეთისა და საქართველოს მილსადენებში უნდა გაატაროს. ირანის მსოფლიოში უდიდეს "სამხრეთ ფარსის" გაზის საბადოზე რუსულ გიგანტს 30-პროცენტიანი წილი აქვს. მასთან ერთად ამ საბადოს "სტატოილი" და ირანის სახელმწიფო გაზის კომპანია ითვისებენ.

როგორც ამერიკის ენერგეტიკის ინფორმაციის სახელმწიფო ადმინისტრაციის ანალიტიკოსები მიიჩნევენ, საქართველო "გაზპრომის" ინტერესების სფეროში უფრო მეტად იმის გამო ხვდება, რომ მას ირანული გაზის ევროპაში გაყიდვა სურს. ევროპა რუსულ გაზზე ამჟამად გაზის მოხმარების 40 პროცენტით არის დამოკიდებული. იმის გამო, რომ ევროკავშირის ქვეყნები, 1996 წლის კიოტოს შეთანხმებით, ეკოლოგიურად სუფთა წარმოებებს ნერგავენ და თბოელექტროსადგურები გაზის ტურბინებზე გადაჰყავთ, 2020 წლისთვის ეს მაჩვენებელი 60 პროცენტს მიაღწევს. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე "გაზპრომს", ბუნებრივია, პრეტენზია აქვს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ამერიკელები არ აღიარებენ, რომ ერაყში შეცდომა დაუშვეს

შოთა უტიაშვილი

*"24 საათის" სტუმარია ჟენევის საერთაშორისო კვლევათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი დენიელ უორნერი.*

**- რამდენად მართლდება ამერიკის იმედები ერაყში?**

- ამერიკას ეგონა, რომ ომი სწრაფად დამთავრდებოდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ როგორც კი მთავრობა დაემხობოდა, ერაყელი ხალხი სწრაფად დაემორჩილებოდა ახალ ხელისუფლებას. ვფიქრობ, რომ ამერიკელებმა ვერ გაითვალისწინეს ქვეყნის კომპლექსურობა და ვერ გათვალეს, რომ ხელისუფლების მოცილების შემთხვევაში, ქვეყანა ხუხულასავით დაიშლებოდა, რაც მოხდა კიდეც. ისინი არ იყვნენ მზად ქვეყნის რეკონსტრუქციისათვის, როგორც ფინანსური, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით. ახლა ისინი ითხოვენ დახმარებას გაერო-საგან,

გაგრძელება A5 გვერდზე


REUTERS

ერაყელები დახმარებას ითხოვენ.

## ოქროც და ბრინჯაოც თბილისშია

გიგა გურასაშვილი

ამა თუ იმ ჩემპიონატიდან შინ დაბრუნებულ გამარჯვებულ ქართველ სპორტსმენებს არაერთხელ დავხვედრივარ აეროპორტში, მაგრამ იმან, რაც გუშინ ვიხილე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შარშან, როდესაც ელდარ კურტანიძე ირანიდან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა, ისე არ დახვედრიან, როგორც გუშინ ნიუ იორკის მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნებულს დახვდნენ. გამოჩნდა თუ არა ჩემპიონი, ატყდა ერთი ამბავი, ტაში, სტვენა, შეძახილები... მილოცვებმა კარგა ხანს გასტანა. მანამდე ვეტერანმა, ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა გურამ სალარაძემ "კოლეგა" საცეკვაოდ გაიწვია. საცეკვაოდ შეიტყუეს რევაზ მინდორაშვილიც, რომელმაც ასევე ლომის წილი დაიდო საქართველოს ნაკრების წარმატებაში. მოგეხსენებათ, მინდორაშვილის "ბრინჯაომ" და კურტანიძის "ოქრომ", ისევე როგორც ალექსანდრე მოდებაძის, ოთარ თუშიშვილისა და დავით პოღოსიანის მიერ ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვებამ, საქართველოს ნაკრებს გუნდური პირველი ადგილი მოუტანა. ბოლოს, როგორც იქნა, წამიერად მსოფლიო ჩემპიონიც მოვიხელთე და ორიოდე კითხვით მივმართე:

გაგრძელება A6 გვერდზე


გოგიტა ბახაიძის ფოტო

ჩემპიონი თბილისში დაბრუნდა.

## „სამართლიანი არჩევნები" - სამართლიანი არჩევნებისთვის

*ყველა ნიშნის მიხედვით, 2 ნოემბერს საარჩევნო უბნებზე მისულ დამკვირვებელთა რაოდენობა (სხვა ნებისმიერ არჩევნებთან შედარებით), რეკორდული იქნება. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში გამოგზავნილ ექსპერტებთან ერთად, კენჭისყრის მიმდინარეობას ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ჟურნალისტებიც მიადევნებენ თვალს. მხოლოდ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" საარჩევნო უბნებზე 3 000 დამკვირვებელს მიავლენს.*

თამარ მჭედლიშვილი

1995 წლიდან მოყოლებული, "სამართლიანი არჩევნები" საქართველოში გამართული ყველა დონის არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდა.

**"სამართლიანი არჩევნები" არჩევნებზე მონიტორინგის განმხორციელებელი პირველი ქართული ორგანიზაციაა, რომლის ქსელიც მოიცავს მთელ საქართველოს და რომელმაც თავისი მოღვაწეობის პერიოდში ჩაატარა 1995 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო, 1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, 1999 წლის საპარლამენტო, 2000 წლის საპრეზიდენტო, 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების, ასევე 1996 წელს ჩატარებული პლებისციტის მონიტორინგი. "სამართლიანი არჩევნები" მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო-სადამკვირვებლო მისიებშიც.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ნინო ბურჯანაძემ აღმასრულებელი ხელისუფლება, ამჯერად, ქარელში "დამარხა"

*"აქა მგონია, იქ არის, იქა მგონია, აქ არის", - თენგიზ აბულაძის "ნატვრის ხის" ზარმაცი კინოგმირის მსგავსად, გულწრფელად არიან გაკვირვებულნი და აღშფოთებულნი საქართველოს სახელისუფლებო წრეებში. მათ გაოცებას და განრისხებას ნინო ბურჯანაძის აქტიური წინასაარჩევნო კამპანია განაპირობებს - ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი, სპორტულ ენაზე რომ ვთქვათ, მოხეტიალე ფორვარდივით, ხან ერთ ფლანგზე (რეგიონში) გამოჩნდება, ხან – მეორეზე და მმართველ ძალას ყველგან კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს. თავის მხრივ, ის გარემოება, რომ სადაც არ უნდა ჩავიდეს, პარლამენტის თავმჯდომარეს მისდამი კეთილგანწყობილი პუბლიკა ხვდება, ბურჯანაძეს ახალი ენერგიით აღავსებს და საბოლოო გამარჯვების რწმენას უმტკიცებს.*

გიორგი ასანიშვილი

**"გადაჭედილი დარბაზი იმის დასტურია, რომ ხალხი ყველაფრისადმი გულგრილი და ყველაფერზე ბოლომდე ხელჩაქნეული არ არის. ეს ძალას მმატებს და მზად ვარ, ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ, კარდაკარ ვიარო, რათა მოსახლეობას მომავლის რწმენა ჩავუნერგო,"** - განაცხადა გუშინ ქარელში ყოფნისას პარლამენტის სპიკერმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სახელისუფლებო ბლოკში ისევ ვერ შეთანხმდნენ

თამარ ხორბალაძე

სახელისუფლებო ბლოკის მაგალითი ამ ბოლო დროს სულ უფრო ამყარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პოლიტიკურ ძალთა ხელოვნური ერთობა ყოველთვის ვერ არის ხოლმე იმ ეფექტის მომტანი, თუნდაც ერთჯერადად – არჩევნებზე - რაზეც ასეთი გაერთიანება არის გათვლილი.

მაშინ, როცა წინასაარჩევნო სიტუაცია უკვე "გახურებულია", სახელისუფლებო ბლოკში ვერა და ვერ მოხერხდა საარჩევნო კვოტებზე და, ამის პარალელურად, ვერც კონკრეტულ წინასაარჩევნო სტრატეგიაზე შეთანხმება.

გუშინ სახელისუფლებო ბლოკის მორიგი შეხვედრიდან გამოსული ბლოკის ლიდერები აცხადებდნენ, რომ საარჩევნო კვოტებზე - ვერა, თუმცა "საარჩევნო კვოტების დაკომპლექტების პრინციპებზე" კი შეთანხმდნენ.

როდის შეთანხმდებიან სახელისუფლებო ბლოკის წევრები "დეტალებზე", ძნელი სათქმელია, მით უმეტეს მაშინ, როცა სახელისუფლებო ძალის რეალური 6-პროცენტიანი რეიტინგი უსასრულოდ გაზრდილსუბიექტებიან ბლოკს სახელისუფლებო ბერკეტების გარეშე ბარიერის გადასალახად საერთოდ არ ჰყოფნის, ამ ბერკეტების ამოქმედების შემდეგ კი ცალკეული სუბიექტების ამბიციებს მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სვანეთის ანტიკრიმინალური ოპერაციის ნადავლი - ხუთი ავტომატი

ხათუნა ჯანგირაშვილი

სვანეთში პომპეზურად დაწყებული ანტიკრიმინალური ოპერაციიდან ერთი კვირა და სამი დღე გავიდა. არც ერთი დაკავებული კრიმინალი – ასეთია ოპერაციის შედეგი. **"გარკვეული შედეგები უკვე გვაქვს, მაგრამ ჯერ ვერ გაგიმხელთ, ყველაფერი მოგვიანებით გახდება ცნობილი,"** - ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ ბოლო დღეების მანძილზე სამართალდამცველები. თუმცა, საეჭვოა, მათ ამ ხნის განმავლობაში ერთი კრიმინალი მაინც დაეკავებინათ და ამის შესახებ განგაში არ აეტეხათ.

ხუთი ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი – ეს გახლავთ კანონდამცველთა "საამაყო" მიღწევა. **"მოვიდნენ და ჩაგვაბარეს იარაღი. დარწმუნებულები ვართ, რომ ცოტა ხანში ჩაბარებული იარაღის რაოდენობა მაქსიმალურად გაიზრდება. სამუშაო ბევრი გვაქვს, ანტიკრიმინალური ოპერაციის მიზანი ასე უცებ ვერ შესრულდება, ჯერ კიდევ პროფილაქტიკურ-განმარტებითი სამუშაოებია ჩასატარებელი მოსახლეობასთან, ამასობაში კრიმინალებსაც მივხედავთ,"** - აცხადებენ მესტიაში გადასროლილი, ჯერ კიდევ ახსნა-განმარტებითი სამუშაოებით დაკავებული სამართალდამცველები, თუმცა არ აკონკრეტებენ, ვინ და როგორ ჩააბარა მათ იარაღი. **"არ დაიჯეროთ, რომ რომელიმე სვანი ადგებოდა, მივიდოდა პოლიციელთან და საკუთარ იარაღს, რომელსაც თვალის ჩინივით უფრთხილდება და რომლის გარეშეც წარმოუდგენლად მიაჩნია არსებობა, ჩააბარებდა.**

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 რეკლამა A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# სახელისუფლებო ბლოკში ისევ ვერ შეთანხმდნენ

პირველი გვერდიდან

ვაჟა ლორთქიფანიძის და თანმდევი ფინანსების (ცხადია, საუბარია პატარკაციშვილზე) მისვლამ სახელისუფლებო ბლოკში იმთავითვე ცხადი გახადა, რომ ბლოკის თავდაპირველი სუბიექტები, მაგალითად, ეგდ და "სოციალისტები" ვერ მიიღებდნენ ფრაქციების მოძველ პარლამენტში, რაც მათ მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენდა. ასევე, ბლოკის სხვა ლიდერები, მაგალითად, ვახო ზოდელავა, რომელიც რამდენიმე დღის წინ უკვე საკმაოდ გულისხმიერი აცხადებდა, რომ ბლოკში მისული ფინანსები მათ არ უნაწილდება. გუშინ კი ბლოკის შეხვედრის წინ განაცხადა, რომ მზად არის, თანამდებობრივად გადადგეს და მაჟორიტარად იყაროს კენჭი, თუ ბლოკის სხვა ლიდერებიც მას მიბაძავენ. **"ხოლო თუ ისინი მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებას ვერ მოახერხებენ, პრეტენზიებიც აღარ უნდა ჰქონდეთ,"** – განაცხადა ზოდელავამ. ცხადია, მას უფრო კვოტების განაწილების დროს დაფიქსირებული ამბიციების დაცხრობა ჰქონდა მხედველობაში, ვიდრე ამ ლიდერების გამარჯვების წყალობით პარლამენტში სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლების რიცხვის გაზრდის იმედი.

ამ წინადადებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სახელისუფლებო ბლოკის შიგნით შესამჩნევი გამოხმაურება ვერ ჰპოვა. ბლოკში, რომელიც თბილისში ძალიან უფრთხის კანდიდატურების დაყენებას და რომელიც, ძირითადად, დაბალრეიტინგულ ფიგურებს თავმოყრის წარმოადგენს (ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა), ზოდელავას ეს ინიციატივა კატეგორიულად არ გაიზიარა. "სოციალისტებმა" ეს **"წინადადების დაგვიანებულობით"** ახსნეს. ირაკლი მინდელმა კი პირდაპირ განაცხადა, რომ ამ საკითხს იგი მხარს არ დაუჭერს და, ამასთან, არ შეცვლის მოთხოვნას, რომ "სოციალისტებმა" ყოველი ათი წევრიდან ერთი მიიღონ.

სამაგიეროდ, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად "იგეშა" თამაზ ნადარეიშვილი, რომლის მიერ "მოსაზრება" დღენიადაგ ხმებს სერიოზული არგუმენტი გამოდგა შეუერთებისთვის და "რამდენიმედღიანი ორჭოფობის" შემდეგ, გუშინ ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ **"განზრახვება ბლოკში გადაწყვეტილია. პოლიტიკური მოთხოვნები – გაზიარებულია..."** (რა თქმა უნდა, ბატონი თამაზი აფხაზეთთან და არა კვოტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საუბრობდა).

# ანტიკრიმინალური ოპერაციის ნადავლი - ხუთი ავტომატი

პირველი გვერდიდან

**არ დაიჯეროთ, რომ პოლიცია აქ რამეს აკეთებს. ვერაფერს გააკეთებენ, ეს თვითონაც კარგად იციან. გამოდის, რომ აქ, უბრალოდ, კურორტზე იმყოფებიან,"** - განაცხადეს ჩვენთან საუბრისას მესტიის მცხოვრებლებმა, რომლებიც ანტიკრიმინალურ ოპერაციას თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდნენ.

რამდენიმე ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების ფაქტი ჩვენთან საუბარში დაადასტურა მესტიის გამგებელმა ერეკლე ჯაფარიძემ. მისივე განმარტებით, მესტიაში ამჟამად დროებითი სიმშვიდეა. რა იგულისხმება "დროებით სიმშვიდეში", მესტიის გამგებელს არ დაუკონკრეტებია. **"აქ შემოყვანილი სამართალდამცველები თითქოს მუშაობენ, მაგრამ ჯერ არაფერი გაკეთებულა,"** - ასეთი გახლავთ ერეკლე ჯაფარიძის კომენტარი.

რა დანიშნულება ჰქონდა სვანეთში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარებას, რას აკეთებენ სამართალდამცველები მესტიაში და, საერთოდ, აკეთებენ თუ არა რამეს - ეს კითხვები უკვე ბუნებრივად გაჩნდა. ამის მიზეზი კი ისევ და ისევ სამართალდამცველთა დუმილია.

მესტიაში პოლიციის ძალების გადასროლისთანავე სამართალდამცველთა შეცხადება - კრიმინალებს მოუხერხებიათ და მოუსწრიათ კიდეც აქაურობის დატოვებაო – თავიდანვე ბევრ ეჭვს ბადებდა. **"ვმუშაობთ ოპერატიულად, ვმუშაობთ მონდომებით, ყველას დავიჭერთ, ვინც კი დაჭერის ღირსია. იმ კრიმინალებსაც დავიჭერთ, ვინც მოახერხა და მოასწრო სვანეთიდან გასვლა. გვაცალეთ მუშაობა!"** – ასეთი გახლავთ სამართალდამცველთა კომენტარები სვანეთში გასვლის მომენტიდან დღემდე.

სვანური ანტიკრიმინალური ოპერაციისას სამართალდამცველები კრიმინალებს რომ არ დაიჭერდნენ, თავიდანვე ცხადი იყო. ჯერ კიდევ ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყებამდე, მაშინ, როცა დაგეგმილ ოპერაციას სამი კვირით ადრე უკეთდებოდა გრანდიოზული რეკლამა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სვანეთში "მოღვაწე" სერიოზული კრიმინალები თავად სახელისუფლებო სტრუქტურებმა გამოიყვანეს. რაც შეეხება ნაკლებად საშიშ კრიმინალებს, ოპერაციის მონაწილეებმა მათ შემორიგება – იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარება და ამის სანაცვლოდ ხელშეუხებლობის გარანტიები შესთავაზეს, რაც თავისთავად უკვე იმას ნიშნავდა, რომ ანტიკრიმინალური ოპერაცია კრიმინალებსა და სამართალდამცველებს შორის გარიგებით დასრულდებოდა.

# გალის რაიონში დამატებითი ძალები შეჰყავთ

*სოხუმის დაცემის მეათე წლისთავთან დაკავშირებით აფხაზები გრანდიოზულად ემზადებიან. მათი მხრიდან სამზადისი, როგორც ჩანს, მხოლოდ საზეიმო ღონისძიებებით არ შემოიფარგლება. პირიქით, სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები თავდაცვის უპრეცედენტო ზომებს იღებენ და შეიარაღებულ ძალებს აძლიერებენ. წინასწარი პროგნოზით, აფხაზური აგრესია კვლავ გალის რაიონისკენ იქნება მიმართული. ამის წინაპირობას კი, როგორც ქართული მხარის წარმომადგენლები აცხადებენ, აფხაზები თავადვე ამზადებენ.*

თამარ კაციტაძე

გუშინ გალის რაიონის სოფელ საბერიოდან შეიარაღებულმა პირებმა საკუთარი ოჯახებიდან გაიტაცეს აფხაზი ზაზა უროტაძე და ქართველი ბოკუჩავა. ეს უკანასკნელი გამტაცებლებმა რამდენიმე საათში დააბრუნეს, ხოლო უროტაძე, აფხაზთა თქმით, ჯერაც არ ჩანს. გატაცების შესახებ ინფორმაცია ქართულ მხარეს აფხაზებმა შეატყობინეს. მათი მტკიცებით, უროტაძე ქართველმა პარტიზანებმა გაიტაცეს და ზუგდიდის ტერიტორიაზე ჰყავთ გადამალული. აფხაზებს ქართული მხარისთვის სხვა ინფორმაცია არ მიუწოდებიათ. სხვათა შორის, ისინი ქართველ სამართალდამცველებს არც ბოკუჩავასთან გასაუბრების უფლებას აძლევენ.

ზაზა უროტაძე, მეტსახელად "შიში", აფხაზეთის ომის მონაწილეა, მოგვიანებით კი მან პოლიციაში დაიწყო მუშაობა. ამჟამად უროტაძე "ენგურჰესის" დაცვაში მუშაობს. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, "შიში" გალის რაიოში ქართველების წინააღმდეგ განხორციელებულ თითქმის ყველა ოპერაციაში მონაწილეობდა და იგი განსაკუთრებული სადიზმით გამოირჩეოდა. სხვათა შორის, ქართველებთან ერთ-ერთი დაპირისპირებისას, რაც ორმხრივ სროლაში გადაიზარდა, უროტაძე დაიჭრა და მას შემდეგ დაკოჭლებულია.

უროტაძის გაუჩინარებას ქართული მხარე ეჭვის თვალით უყურებს. **"არ არის გამორიცხული, რომ უროტაძე თვითონ აფხაზმა კრიმინალებმა კომერციული საქმიანობის გამო გაიტაცეს. ამიტომ უმჯობესია, იგი სოხუმში ან გაგრაში ეძებონ,"** – ასეთია აღნიშნულ გატაცებასთან დაკავშირებით ქართველ სამართალდამცველთა კომენტარი. თუმცა, ქართული მხარე არც იმას გამორიცხავს, რომ ეს გატაცება (თუ ეს მართლაც ასეა) თავად აფხაზური მხარის მიერ იყოს ორგანიზებული, რათა გალში დამატებითი ძალების შეყვანა გაამართლონ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა.

ოთხმხრივი შეთანხმების თანახმად, აფხაზურ და ქართულ მხარეებს გალის რაიონში 600-600 პოლიციელი უნდა ჰყავდეთ, მაგრამ ქართველი პოლიციელის გალის რაიონში გამოჩენაზე საუბარიც ზედმეტია. სამაგიეროდ, აფხაზები პერიოდულად სხვადასხვა რაიონებიდან დამატებით ძალებს გზავნიან და დღეს გალს სამჯერ 600 შეიარაღებული პოლიციელი თუ ოფიციალური სტრუქტურის სხვა წარმომადგენელი აკონტროლებს. დამატებითი ძალების შეყვანის მიზეზს კი აფხაზები ძალიან ადვილად პოულობენ. მაგალითად, ბოლო პერიოდში შეიარაღებული ჯგუფები აფხაზ მებაჟეებსა და ქართველ პოლიციელებს შორის მომხდარი ინციდენტის დროს შევიდნენ გალის რაიონში და მათ გაყვანაზე ქართულ მხარეს ხმაც არ ამოუღია. არადა, როგორც "ტყის ძმების" მეთაურმა დავით შენგელიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, **"ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. მართალია, ოფიციალურად ყველა ერიდება ინფორმაციის გავრცელებას, მაგრამ გალის რაიონში დღე ისე არ გავა, რომ ქართული ოჯახები არ დააყაჩაღონ, ვინმე არ გააუპატიურონ, ან არ გაიტაცონ და ასე შემდეგ. ეს ხალხი კი გაჩუმებულია და ხმის ამოღებასაც ვერ ბედავს, რადგან კარგად იცის, რომ მათზე არავინ ფიქრობს და განწირულები არიან".**

რა ბედი ეწევათ უმწეო მდგომარეობაში დარჩენილ გალელებს "აფხაზების გამარჯვების სადღესასწაულო დღეებში", რომლისთვისაც აფხაზურმა მხარემ მზადება უკვე დაიწყო, ადვილი წარმოსადგენია. მით უმეტეს, რომ ამას არც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი მალავს, თუმცა, ქართული მხარისგან რაიმე ზომების მიღებაზე საუბარი ამ ეტაპზე ზედმეტია.

**"სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, აფხაზებს ქართველი პარტიზანების ეშინიათ და ამიტომ საგანგებო მზადება უკვე დაიწყეს. ოჩამჩირისკენ მიმავალი გზები გადაკეტეს, გაგრიდან და გუდაუთიდან დამატებითი შეიარაღებული ძალების გადამოსროლას გეგმავენ, რუს სამშვიდობოებს გარკვეული პერიმეტრების დაცვა დაავალეს და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს. 27 სექტემბერთან დაკავშირებით აფხაზები გალის რაიონში სადამსჯელო ოპერაციებს გეგმავენ. არ არის გამორიცხული, როგორც წინა წლებში ხდებოდა ხოლმე, გალიდან ქართველები გაიტაცონ და ომში დახოცილი აფხაზების საფლავზე მოკლან,"** – ასეთია გალში შექმნილ სიტუაციაზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის აზრი.

# „სამართლიანი არჩევნები" - სამართლიანი არჩევნებისთვის

პირველი გვერდიდან

**არჩევნების მონიტორინგის გარდა, ორგანიზაციას განხორციელებული აქვს სხვადასხვა პროგრამა, როგორიცაა: საჯარო დაწესებულებაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი, ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგი და ა.შ.",** – ასე წარმოადგინეს ამ ორგანიზაციის წევრებმა საკუთარი თავი გუშინდელ პრეზენტაციაზე, რომელიც "სამართლიანი არჩევნების" სამოქმედო პროგრამის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად.

აღსანიშნავია, რომ მომავალი არჩევნების წინ კვლავ და კვლავ განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სამოქალაქო საზოგადოების მიერ კენჭისყრის პროცესის მონიტორინგის უზრუნველყოფის პრობლემა. მით უფრო, რომ მხოლოდ გამარჯვებაზე ორიენტირებული პარტიები 2 ნოემბერს ყველა ხერხს მიმართავენ, რომელიც მათ წარმატებას უზრუნველყოფს.

სიმართლე რომ ითქვას, დღემდე არასამთავრობო სექტორისა და მედიის აქტიურობას არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა არ მოუხდენია – მრავალი საჯარო გამოსვლისა თუ პუბლიკაციების მიუხედავად, ჟურნალისტებიცა და არასამთავრობოებიც იძულებულები იყვნენ, ეღიარებინათ, რომ მათი პროტესტი მხოლოდ ცარიელ სიტყვებად რჩებოდა. პოლიტიკური სპექტრი კი ურთიერთობებს და კონფლიქტებს ისე აგვარებდა, როგორც შეეძლო და ამ დროს მნიშვნელოვანი არა კანონი, არამედ ის იყო, თუ ვინ უფრო მეტ ადმინისტრაციულ რესურსს ფლობდა და ვინ უფრო გავლენიანი იყო საარჩევნო ადმინისტრაციებში.

შესაძლოა, მომავალმა არჩევნებმა ასეთ მიდგომებს საბოლოოდ დაუსვას წერტილი. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გამჭვირვალედ და კანონის მოთხოვნების დაცვით წარიმართება კენჭისყრის პროცედურები.

პოლიტსივრცეში დღეს არსებულ ძალთა ბალანსით თუ ვიმსჯელებთ, ცხადი ხდება, რომ არჩევნების დიდი უპირატესობით მოგების



"სამართლიანი არჩევნები" არჩევნებისთვის ემზადება.

შესაძლებლობა არც ერთ პოლიტიკურ მოთამაშეს არ აქვს; ამიტომაც, პარტიები ყველა ღონეს იხმარენ, რათა საკუთარი კანონიერი თუ უკანონო რესურსები ბოლომდე გამოიყენონ და, მეორე მხრივ, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ამ შესაძლებლობათა ამოქმედების საშუალება არ მისცენ. თანაც, საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე ღიად გამოთქვამენ უკმაყოფილებას საქართველოში გამართული არჩევნების ხშირ შემთხვევაში არადემოკრატიულობის გამო.

აქედან გამომდინარე, მომავალ არჩევნებში არასამთავრობო სექტორისა და მედიის როლის თაობაზე ბჭობა და კამათი უკვე აზრს კარგავს – პოლიტიკურ მოთამაშეებს შესანიშნავად ესმით, რომ გამჭვირვალობის უზრუნველყოფას ალტერნატივა არ ექნება.

ალბათ, სწორედ ამით აიხსნება გუშინდელ პრეზენტაციაზე პოლიტიკოსთა ასეთი სიმრავლე. სასტუმრო "მარიოტში" გამართულ შეხვედრას ყველა პოლიტიკური გუნდის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ. თანაც, როგორც უკვე ვთქვით, "სამართლიანი არჩევნები" ის ორგანიზაციაა, რომელმაც უკვე შეძლო არჩევნების დროს მიუკერძოებელი არბიტრის სახელის დამკვიდრება.

რაც შეეხება ორგანიზაციის სამოქმედო გეგმას: მისი აღმასრულებელი დირექტორის, ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, **"სამართლიანი არჩევნების" მიერ განსახორციელებელი 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო კამპანიის მიზანი და დევიზია "სამართლიანი არჩევნები" სამართლიანი არჩევნებისათვის. სადამკვირვებლო კამპანიის უმთავრესი პრინციპებია კანონის დაცვა, ხმების სწორად დათვლა, არჩევნების სამართლიანობის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა ინფორმირება საარჩევნო პროცესის შესახებ; მოქალაქეთა მოზიდვა და 3000 მოხალისის დამკვირვებლად მომზადება; ხმებისა და ამომრჩეველთა მონაწილეობის პარალელური დათვლა. კამპანიით დაგეგმილი საქმიანობების განსახორციელებლად "სამართლიანი არჩევნები" მოიზიდავს მოხალისეებს, მოამზადებს მათ და განათავსებს საარჩევნო უბნებზე. ორგანიზაცია წინასაარჩევნო პერიოდში განახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაციების საქმიანობისა და საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგს, ხოლო არჩევნების დღეს კენჭისყრის პროცედურის, ხმის დათვლისა და მიღებული შედეგების შეჯამების პროცედურის მონიტორინგს. ასევე, გაასაჩივრებს დამკვირვებელთა მიერ აღმოჩენილ დარღვევებს და აწარმოებს ამომრჩეველთა ხმების პარალელურ დათვლას".**

და ბოლოს: მიზნის მისაღწევად "სამართლიანი არჩევნები" აქტიურად ითანამშრომლებს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა: "თავისუფლების ინსტიტუტი", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი".

# ნინო ბურჯანაძემ აღმასრულებელი ხელისუფლება, ამჯერად, ქარელში "დამარხა"

პირველი გვერდიდან

ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერთან შეხვედრებზე მხოლოდ მისი მომხრეები კი არ მიდიან, არამედ ისინიც, ვინც თავის არჩევანში ჯერ კიდევ მერყეობს. არც თუ იშვიათად, დარბაზში ბურჯანაძეს ცხარე, მაგრამ კორექტულ ოპონირებას უწევენ, რაც საინტერესო პოლემიკის "მიზეზი" ხდება. ასეთ დროს პარლამენტის თავმჯდომარე ცდილობს, თავის პასუხებში გულწრფელი იყოს, რითაც კიდევ დამატებით "ქულებს" აგროვებს. მეტიც, სპიკერი ზოგჯერ თავად მიდის "ტარანზეც": მაგალითად, მას სულაც არ ეშინია, რომ "კრაზანების (პოლიტიკური კონკურენტების) ბუდეში" თავისი ნებით "შეყოს თავი". ამის დასტურია თუნდაც გუშინ სოფელ წეროვანში მიბრძანება, რომელიც, როგორც ცნობილია, ჯუმბერ პატიაშვილის პოლიტიკურ ნაკრძალად არის მიჩნეული.

სადაც არ უნდა მივიდეს, პარლამენტის თავმჯდომარე ყველგან ცდილობს, საგნობრივად ისაუბროს და კრიტიკის ობიექტები კონკრეტულად დაასახელოს. ბურჯანაძის "ყურადღების ქვეშ" კი, როგორც წესი, ყოველთვის ხვდებიან ვახტანგ რჩეულიშვილი, ვიტალი ხაზარაძე და ლევან მამალაძე.

**"ძალიან კარგი წარმოსადგენი იქნება "ახალი საქართველო" რჩეულიშვილისა და ხაზარაძის ხელში! მე ასეთ საქართველოში**



ნინო ბურჯანაძის სოციალურ-ეკონომიკურმა პლატფორმამ ტესტირება წარმატებით გაიარა.

**ცხოვრება ნამდვილად არ მინდა და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩვენი შვილების მომავალი მათი გადასაწყვეტი არ გახდეს... რაც შეეხება მამალაძეს, როდესაც ამბობს, საქართველოს მოსახლეობის 85 პროცენტი კარგად ცხოვრობსო - ეტყობა, თავისი ახლობლები ჰყავს მხედველობაში,"** - ქარელელების წინაშე მიწისმიუყრელად დამარხა ბურჯანაძემ სახელისუფლებო ბლოკის მოწინავენი.

ქარელში მყოფმა პარლამენტის თავმჯდომარემ, თავისი ბლოკის სახელით, ამ რაიონის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად თამაზ თხელიძის პერსონა შესთავაზა, რომელიც ამჟამად მიწის მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეა. ამ შემთხვევაში საერთო წესიდან გამონაკლისთან გვაქვს საქმე: თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები პარლამენტის ოპოზიციონერი თავმჯდომარისთვის სალმის მიცემასაც კი გაურბიან, თამაზ თხელიძე მზად არის, "ბურჯანაძე-დემოკრატების" გუნდში გაწევრიანდეს.

**"ეს გადაწყვეტილება ჩემთვის იოლი მისაღები არ ყოფილა,"** - აღიარებს თხელიძე, რომელიც ირწმუნება, რომ ჰყავს მყარი ელექტორატი, რომელიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში აუცილებლად დაუჭერს მხარს.

ნინო ბურჯანაძის წინასაარჩევნო კამპანია მხოლოდ რეგიონების მონახულებით არ ამოიწურება. ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი დიდ ყურადღებას უთმობს არჩევნების "თეორიულ" მხარესაც: ქარელიდან და წეროვანიდან თბილისში დაბრუნებული პარლამენტის თავმჯდომარე გუშინვე ეკონომიკის სამინისტროს ეწვია, სადაც, ლადო პაპავასთან ერთად, ეკონომისტთა ასოციაციის წევრებს თავისი წინასაარჩევნო სოციალურ-ეკონომიკური პლატფორმა, კერძოდ, "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია" გააცნო.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პლატფორმამ ეკონომისტთა ასოციაციაში (თანათავმჯდომარე მიხეილ ჯიბუტი) "ტესტირება" წარმატებით გაირა. ახლო მომავალში ეკონომისტებს "სოციალ-ეკონომიკაში" "გამოცდას" სხვა პოლიტიკური პარტიებიც ჩააბარებენ.

# ლევან გაჩეჩილაძე ვაკისთვის იბრძოლებს

"ახლების" ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე ვაკის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატია. ვაკეში დაბადებულ და გაზრდილ უფროს "გრეჩიხას" ეჭვი არ ეპარება, რომ მშობლიური უბანი მას ხმას მისცემს. ამის მიუხედავად, გაჩეჩილაძე მზად არის, შეხვდეს და ესაუბროს თითოეულ ვაკელს იმის მიუხედავად, უჭერს თუ არა ეს უკანასკნელი მხარს.

**"მე ღირსეულად ვიბრძოლებ საპარლამენტო არჩევნების მოსაგებად,"** – განაცხადა გუშინ ლევან გაჩეჩილაძემ ყოფილ კინოთეატრ "ყაზბეგში" გამართულ შეხვედრაზე.

უნდა ითქვას, რომ გუშინდელმა წარდგენამ საკმაოდ პომპეზურად ჩაიარა – დარბაზში იმყოფებოდნენ როგორც გაჩეჩილაძის პარტიული თანამებრძოლები, ასევე მისი ოჯახის წევრები და მეგობრები. გაჩეჩილაძის საკმაოდ ბევრმა ახლობელმა თავი ვალდებულად მიიჩნია, რამდენიმე სიტყვით დაეხასიათებინა მაჟორიტარობის კანდიდატი. ერთ-ერთმა მათგანმა კი პირდაპირ განაცხადა, რომ **"ვაკეში არჩევნების ბედი მაშინ გადაწყდა, რაც ცნობილი გახდა, რომ ამ რაიონში კენჭს ლევანი იყრიდა."**

გუშინ დარბაზში იმყოფებოდნენ



"ახლებს" ეჭვი არ ეპარებათ, რომ ვაკელები ხმას "გრეჩიხას" მისცემენ

ვაკის გონივრული განვითარებისთვის მებრძოლი ქალბატონები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ ეს გახდა გუშინდელი დღის მთავარი ინტრიგა, რადგან ამომრჩეველთა თვალში არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკის გონივრული განვითარების" წევრები კვლავ მიხეილ სააკაშვილის ერთგულ პოლიტიკურ თანამებრძოლებად რჩებიან.

**"არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკის გონივრული განვითარების" მხარდაჭერის გარეშე ვაკეში გამარჯვება ვერ წარმოგვიდგენია,"** - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ პარტიის თავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ და იქვე მადლობა გადაუხადა მიხეილ სააკაშვილს, რადგან "მან ვაკეში ხელი შეუწყო სერიოზული არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას".

"ვაკის გონივრული განვითარების" წარმომადგენელთა საპასუხო სიტყვებმაც არ დააყოვნა. **"ჩვენ არ ვართ დაპირისპირებული მიხეილ სააკაშვილთან. ჩვენ მისი პარტნიორები ვიყავით, მაგრამ ახლა მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძეს ვემხრობით,"** - განაცხადა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა აქტივისტმა.

რაც შეეხება გაჩეჩილაძის კონკურენტებს: გავრცელებული ინფორმაციით, ვაკეში კენჭისყრას გეგმავს "ნაციონალების" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი. სხვა კონკურენტების ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია. თავად გაჩეჩელაძე კი აცხადებს, რომ მას ყველაზე დაძაბული ბრძოლა სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელთან ექნება.

*24 საათი*

## მოკლედ

### კოდორის ხეობის მოსახლეობას ევაკუაცია ემუქრება

შესაძლოა, კოდორის ხეობის მოსახლეობა ზამთარში პროდუქტების გარეშე დარჩეს. ჭუბერი-საკენის უღელტეხილზე თოვლი უკვე მოვიდა და სულ მალე ხეობა მიუვალი გახდება. ხეობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, აქ პროდუქტების შეტანა სექტემბრის პირველ რიცხვებში უკვე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ჯერაც არ დაწყებულა. კოდორის ხეობის შტაბის წარმომადგენელთა განცხადებით, ამის მიზეზი ფინანსთა სამინისტროსა და სახაზინო სამსახურის გულგრილობაა. ბიუჯეტი კოდორის ხეობის ზამთრის სეზონისათვის მომარაგების პროგრამას სულ 500 ათასი ლარით აფინანსებს. ფინანსთა სამინისტრომ კი ამ დროისთვის სახაზინო სამსახურს დაავალა მხოლოდ 300 ათასი ლარის გადარიცხვა, რომელიც კოდორის ხეობის შტაბს ჯერ არ მიუღია. ხეობაში 600 ტონა პროდუქტი და პირველადი მოხმარების საგნები უნდა შეიტანონ. როგორც კოდორის ხეობის შტაბში აცხადებენ, ცხრა წლის განმავლობაში, რაც ხეობის ზამთრისთვის მომარაგების პროგრამა მუშაობს, ასეთი მწვავე პრობლემა პირველად დადგა. შტაბის წევრთა თქმით, თუ ხეობის მომარაგების საკითხი უახლოეს დღეებში არ გადაწყდება, მაშინ მოსახლეობა იქიდან სასწრაფოდ უნდა იქნას ევაკუირებული. **მედია-ნიუსი**

### 27 სექტემბერს "კავკასიური ოთხეულის" შეხვედრა გაიმართება

27 სექტემბერს მოსკოვში გაიმართება "კავკასიური ოთხეულის" შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარეები. "კავკასიური ოთხეულის" შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გამგზავრებაა დაგეგმილი. პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე რეგიონში არსებული პრობლემები განიხილება, გამორიცხული არ არის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გაყინულ კონფლიქტებსა და წინასაარჩევნო კამპანიის საკითხებზე მსჯელობაც. "კავკასიური ოთხეულის" შეხვედრა მოსკოვში 1 ოქტომბერს დასრულდება. **ინტერ-პრესი**

### სამხრეთ ოსეთის მთავრობის მეთაურად ასპინძაში დაბადებული ბიზნესმენი დაინიშნა

56 წლის ბიზნესმენი იგორ სანაკოევი, რომელიც ბოლო დროს ვლადიკავკაზში მოღვაწეობდა, გუშინ სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურად დაამტკიცა. პარლამენტის თავმჯდომარის სტანისლავ კოჩიევის ინფორმაციით, 26 დეპუტატიდან სანაკოევის კანდიდატურას 24-მა დაუჭირა მხარი. მისივე თქმით, იგორ სანაკოევი უახლოეს დღეებში დაიწყებს ახალი მთავრობის ფორმირებას. იგორ სანაკოევი რუსეთის მოქალაქეა. იგი ასპინძაშია დაბადებული. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი აგვისტოს დასაწყისში მთავრობის მეთაურის მოვალეობას ასრულებდა. მან სწორედ მაშინ გადააყენა გერასიმ ხუგაევის მთავრობა. **პრაიმ-ნიუსი**

### "ლაგუნა ვერეს" იუბილე

"ლაგუნა ვერეს" დაარსებიდან 25 წლისთავი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით ვერის საწყალოსნო კომპლექსზე საზეიმო საღამო გაიმართა. ერთმანეთს ცვლიდა მისასალმებელი სიტყვები, კონცერტი და საწყალოსნო–სპორტული სანახაობები. კომპლექსის ღვაწლმოსილ მუშაკებს სამახსოვრო საჩუქრებიც გადაეცათ, მაგრამ ყველაზე დიდი საჩუქარი "ლაგუნა ვერესთვის" და საერთოდ საქართველოს სპორტსმენთა საზოგადოებისთვის აკადემიკოსმა დავით ტატიშვილმა გააკეთა.

ეს არის ესთეტიკური და სპორტული მედიცინის თანამედროვე ცენტრი, რომლის პრეზენტაცია გუშინდელ იუბილეზე შედგა.

"ლაგუნა ვერეს" დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი: **"ბატონი დავით ტატიშვილი ჩვენი დიდი ხნის მეგობარია. იგი წლების მანძილზე დადის ჩვენს აუზზე და სწორედ მისი იდეა იყო "ლაგუნა ვერეზე" სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნა. უნდა გითხრათ, რომ ეს არის ამოუწურავი იდეებისა და უშრეტი ენერგიის ნოვატორი ადამიანი. ჩვენ, რა თქმა უნდა, მაშინვე დავეთანხმეთ.**

**მოგეხსენებათ, სპორტსმენისთვის მკურნალობის შემდგომ რეაბილიტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისე სრულყოფილი გამოჯანმრთელება შეუძლებელია. ამ მხრივ დავით ტატიშვილის სარეაბილიტაციო ცენტრი ყველა პირობას პასუხობს. აქ არის ულტრათანამედროვე სამედიცინო აპარატურა, საოპერაციო და...წყალი, რომელსაც სარეაბილიტაციო პერიოდში თავისი უცვლელი ადგილი აქვს."**

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თბილისის ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტარ ლევან პირველს წარადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "წყალწაღებულ სახელისუფლებო ბლოკში ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა, "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" თავმჯდომარემ ვაჟა ლორთქიფანიძემ სიმშვიდე შეიტანა," - აცხადებს საარჩევნო ბლოკის "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი, ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალური საარჩევნო კომისია უახლოეს დღეებში წერილობით მიმართავს შს სამინისტროს, რათა მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, ცხოვრობდა თუ არა საქართველოში (უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში) უშიშროების ყოფილი მინისტრი, ამჟამად ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძე, რომელიც სამტრედიის საოლქო კომისიამ შაბათს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად გაატარა რეგისტრაციაში. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია გაცნობებთ, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის განხორციელება ბორჯომის, თეთრი წყაროს, გარდაბანის, წალკისა და ახალციხის რაიონებში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის ღიად და გამჭვირვალედ წარმართვისათვის, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია მუდმივად მოგაწვდით ინფორმაციას პროექტის შესახებ.

**2003 წლის 18 სექტემბრისათვის**

მომზადებულია ნავთობსადენის დერეფნის 68 კილომეტრი

მილები განლაგებულია ნავთობსადენის დერეფნის 37 კილომეტრზე

მილები შედუღებულია 23 კილომეტრზე

**უშუალოდ ნავთობსადენის მშენებლობაში დასაქმებულია საქართველოს 1 960 მოქალაქე**

**ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში**

ქართული კომპანიების მიერ შესრულებულია 6 844 500 ლარის სამშენებლო სამუშაოები

2 200-ზე მეტი ოჯახისათვის გადახდილია 13 400 000 ლარი მიწისა და მოსავლის კომპენსაციისათვის

ნავთობსადენის გასწვრივ მდებარე რაიონებში ადგილობრივი მეწარმეებისაგან შეძენილია 1 871 500 ლარის ღირებულების ინერტული მასალა

ქართული კომპანიებისაგან შეძენილია 1 839 720 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა

ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეძენილია 398 640 ლარის ღირებულების კვების პროდუქტი

ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათი ბინების დაქირავების საზღაურად გადახდილია 266 590 ლარი

ბათუმისა და ფოთის პორტებში ტვირთების მიღებასა და გადამუშავებაში გადახდილია 6 059 800 ლარი

საქართველოს რკინიგზისათვის ტვირთების ტრანსპორტირებისათვის გადახდილია 5 404 200 ლარი

ქართული სამშენებლო კომპანიების მიერ საქართველოს ბიუჯეტში გადარიცხულია 317 550 ლარი

ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებიდან დღემდე საქართველოს 10 000-მდე მოქალაქემ სხვადასხვა ფორმით მიიღო მონაწილეობა პროექტისთვის აუცილებელი მომსახურეობის გაწევისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროცესში

**პროექტის ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოში ათასობით ოჯახს შეეხო**








**საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია გაცნობებთ, რომ თქვენთვის მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება პროექტის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია.**
**თუ თქვენ გაგიჩნდათ რაიმე შენიშვნა, წინადადება ან კითხვა:**
**თქვენთვის მუშაობს მუდმივი სატელეფონო ხაზი 92-02-54 ყოველდღე 10:00-დან 18:00 საათამდე**

გარდა ამისა, იმ რაიონებში, სადაც გადის ნავთობსადენი დღეისათვის გახსნილია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლობები შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. გარდაბანი, ელექტროქსელების შენობა, დავით აღმაშენებლის ქ. №74;
2. ქ. თეთრიწყარო, რაიონული გამგეობის შენობა, თამარ მეფის ქ. №34;
3. ქ. წალკა, რაიონული გამგეობის შენობა, არისტოტელეს ქ. №22;
4. ქ. ბორჯომი, რაიონული გამგეობის შენობა, რუსთაველის ქ. №1;
5. ქ. ახალციხე, სამხარეო ადმინისტრაციის შენობა, თამარაშენის ქ. №11

**საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ოფისი თბილისში**
**სანაპიროს ქუჩა № 4**
**ტელ: 92-02-46/47**

აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი

# „არ იპარო, არ შეჭამო, არ გასკდე!“



"ლეიბორისტების" სიმდიდრე ხალხის მასობრივი მხარდაჭერაა.

ვერიკო თევზაძე

*ამ დევიზით აპირებენ მოსვლას დიდ პოლიტიკაში ლეიბორისტული პარტიის მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებიც გუშინ პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა წარადგინა.*

გიორგი გუგავა (გლდანის რაიონი), რეზო ჩხიკვიშვილი (მთაწმინდა), ლეილა ჩქარეული (სამგორი), პაატა ჯიბლაძე (ჩუღურეთი), ჯემალ მარგველიძე (დიდუბე), იოსებ შატბერაშვილი (კრწანისი), ედიშერ კვესიტაძე (ვაკე), გოდერძი ჩოხელი (ნაძალადევი), ვალერი ბაქრაძე (ისანი), ჯონდი ბაღათურია (საბურთალო) - ასეთია ლეიბორისტების მაჟორიტარ კანდიდატთა სრული სია. შალვა ნათელაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ადამიანებმა **"უნდა უზრუნველყონ შევარდნაძის უმძიმესი მემკვიდრეობის ლიკვიდაცია საქართველოში."**

ნათელაშვილი იმედოვნებს, რომ პარლამენტში 120 კაცს მაინც გაიყვანს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ **"შევარდნაძის ეშმაკისეული მანქანა არ ამოქმედდა."** ამ მხრივ, კი შრომის პარტიის თავმჯდომარის პროგნოზით, საქმეს არც ისე კარგი პირი უჩანს: **"საქართველოს თავზე ჩამოწვა კიდევ ერთი ახალი შავი ღრუბელი, ეს გახლავთ შევარდნაძის მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსი, რომელმაც ჩვენი ძარცვით დააგროვა დიდძალი ცოდვიანი ფული იმისთვის, რათა ამ ადამიანებმა იყიდონ სადეპუტატო მანდატი და შევარდნაძიზმი მონარქიულ სისტემად გადააქციონ. ეს გახლავთ მაჟორიტარებისთვის მიცემული დავალება. ხელისუფლება პარტიულ სიებზე უკვე აღარ მუშაობს, რადგან იცის, რომ არანაირი პარტიული რეიტინგი არ გააჩნია."**

როცა ჟურნალისტებმა ფინანსების თემაზე შეკითხვა დაუსვეს, შალვა ნათელაშვილმა ხელები გაასავსავა: **"ჩვენი სიმდიდრე და კაპიტალი არის ხალხის მასობრივი მხარდაჭერა."**

ნათელაშვილს არ სჯერა **"გრანტიანი ბიჭების", რაღაც შეკვეთილ 30-ათასიან რეიტინგებს რომ აცხადებენ".** სამაგიეროდ, შრომის პარტია, ბატონი შალვას სიტყვებით რომ ვთქვათ, **"რეიტინგის კულმინაციაზე" იმყოფება".** "ლეიბორისტები" ჩამოჩოჩებას არ აპირებენ.

# სააკაშვილი რეიტინგებმა შეაფიქრიანა



სააკაშვილს ჯერ არ გადაუწყვეტია, აპირებს თუ არა პარლამენტარობას

სოფო ბუკია

"ნაციონალები" აგრძელებენ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა სიის გახმაურებას. ამჯერად სააკაშვილს საარჩევნო მწვერვალების დაპყრობაში ცნობილი მთამსვლელი, ყინულოვანი ევერესტის არაერთხელ დამლაშქრავი გია თორთლაძე შეეშველება. გუშინ "ნაციონალებმა" ოფიციალურად გამოაცხადეს თორთლაძე მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად. წყალტუბოში კი "ნაციონალური მოძრაობის" სახელით რამაზ იოსელიანი "იასპარეზებს". მწერალ ოტია იოსელიანის ვაჟს წყალტუბოში შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ძმის დამარცხება მოუწევს.

**"ჩვენ ვერ დავუშვებთ იმას, რომ წყალტუბოში გაიმარჯვოს ამ ბუტაფორიამ. ნარჩემაშვილის ძმის საარჩევნო კამპანიას წყალტუბოში პოლიცია წარმართავს, საკუთარი ძმის დასახმარებლად შინაგან საქმეთა მინისტრი მილიონებს არ ზოგავს, მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ წყალტუბოში რამაზ იოსელიანი გაიმარჯვებს,"** – განაცხადა სააკაშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე. თორთლაძის კონკურენტები მთაწმინდის რაიონში იქნებიან: ვახტანგ ხმალაძე "ახლებიდან", "ბურჯანაძე-დემოკრატი" გიგი წერეთელი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და სამების ეკლესიის მოძღვარი მამა როსტომი.

სააკაშვილმა სიამაყით აღნიშნა, რომ გია თორთლაძესთან მოლაპარაკებებს "ბურჯანაძე-დემოკრატებიც" აწარმოებდნენ, თუმცა თორთლაძემ "ნამდვილი ოპოზიცია" არჩია. **"მე ასე მჯერა - პროფესიონალმა უნდა აკეთოს თავისი საქმე, მაგრამ დღეს სხვაგვარი დროა, ქვეყანა იღუპება და მას შველა სჭირდება, ამიტომ გადავწყვიტე, შევუერთდე რეალურ ოპოზიციას,"** – "თავი იმართლა" გია თორთლაძემ.

რამაზ იოსელიანიც დარწმუნებულია, რომ პარლამენტში მოხვედრით ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს ქვეყნის სასარგებლოდ.

თავად მიხეილ სააკაშვილს ჯერ არ გადაუწყვეტია, აპირებს თუ არა პარლამენტარობას. ვინ ჩაუდგება "ნაციონალების" საარჩევნო სიას სათავეში, რამდენიმე დღეში გაირკვევა, როდესაც "ნაციონალები" სიის საბოლოოდ შეჯერებულ ვარიანტს ფართო საზოგადოებას გააცნობენ.

"ნაციონალური მოძრაობის" უკვე ცნობილ მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატთა ნუსხა კი ასე გამოიყურება: ირაკლი ოქრუაშვილი (გორი), ბესო ჯუღელი (ჩუღურეთი), კობა დავითაშვილი (გლდანი), დავით მუმლაძე (ზესტაფონი), ზურაბ ახმეტელი (ახმეტა), პეტრე ცისკარიშვილი (კრწანისის რაიონი), ვანო მერაბიშვილი (ახალციხე), დავით ბერძენიშვილი (ბათუმი), ნუგზარ ხაბაზი (ქუბულეთი), ვლადიმერ გუცაევი (ახალგორი), კამალ მურადხანოვი (ბოლნისი), ზაურ გურგენიძე (თერჯოლა). სავარაუდოდ, ვაკეში "ნაციონალურ მოძრაობა" მაია ნადირაძეს წარმოადგენს.

გუშინდელ ბრიფინგზე სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ IPM –ის მიერ "რუსთავი 2"-ის ეთერით გამოქვეყნებულ საარჩევნო რეიტინგებზე ჩამოაგდო სიტყვა. ამ რეიტინგის მიხედვით, "ნაციონალური მოძრაობა" მეოთხე პოზიციაზე გახლავთ. სააკაშვილის თქმით, აღნიშნული რეიტინგი კონკრეტული პარტიის საარჩევნო შტაბის მიერ იყო მომზადებული. "ნაციონალების" ლიდერი თითს "ბურჯანაძე-დემოკრატებისკენ" იშვერს და ჟურნალისტებს საკუთარ რეიტინგებს სთავაზობს. "ნაციონალების" გამოთვლით, ოთხ რეგიონში – სამეგრელოში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში პირველ ადგილზე "ნაციონალური მოძრაობაა". თბილისში კი ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ "ლეიბორისტებს", "ნაციონალებსა" და "ბურჯანაძე-დემოკრატებს". **"მინდა, ხალხს ვუთხრა, არ აყვნენ პროვოკაციებს. საარჩევნო რეიტინგებზე დღეს ყველა საუბრობს - ასტროლოგები, მკითხავები, გულთმისნები... ასეთი გულთმისანი 200 დოლარად თქვენ გაერო-ს გენერალურ მდივნობასაც გიწინასწარმეტყველებთ,"** – გააფრთხილა მოსახლეობა სააკაშვილმა.

# "გაზპრომისა" და საქართველოს ხელისუფალთა გაუცხადებელი გეგმები

პირველი გვერდიდან

გაზზე ევროპის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას რუსული ენერგოგიგანტი, რომელსაც ორიენტაცია უცხოური საბადოების ათვისებაზე აქვს აღებული, მხოლოდ ირანული გაზის რეზერვის გამოყენებით შეძლებს. ამერიკულ ჟურნალ "რუსეთის ნავთობინვესტორის" მონაცემებით, მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, "გაზპრომი" ევროპისათვის ყოველწლიურად 80-100 მილიარდი კუბური მეტრი ირანული გაზის მიწოდებას გეგმავს. სწორედ ამ მოცულობის გაზის მიწოდების თაობაზე ირანთან ევროკავშირი მოლაპარაკებებს აწარმოებს. უკრაინამ უკვე მიაღწია შეთანხმებას ყოველწლიურად 12-15 მილიარდი კუბური მეტრი ირანული გაზის შესყიდვის შესახებ. მიმდინარე წლის გაზაფხულზე კი ირანული გაზის ავსტრიის მიმართულებით ტრანსპორტირების ნებართვა ბულგარეთის მთავრობამაც გასცა.

ამასობაში კი "გაზპრომი" ირან-სომხეთის მილსადენის მშენებლობაში მონაწილეობს. ამდენად, მოლაპარაკების დასრულების მომენტისათვის "გაზპრომს" ევრობაზარზე შესასვლელად ყველაზე ხელსაყრელი პოზიციები და მზა ინფრასტრუქტურა ექნება.

ის, რომ "გაზპრომი" საქართველოში კომერციული ინტერესებით არ შემოსულა, რუს ექსპერტთათვისაც იმთავითვე ნათელი იყო. საქართველოსა და სომხეთის მიერ ერთობლივად მოხმარებული გაზის ოდენობა ხომ "გაზპრომის" ტექნიკური დანაკარგის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, იმდენი გაზი, რამდენიც საქართველოსა და სომხეთს სჭირდება, "გაზპრომს" "მილებიდან ეპარება". გარდა ამისა, საქართველოს გაზის ბაზარს მიმზიდველობა უკარგავს მისი არალიკვიდურობაც.

პოლიტიკური წრეები "გაზპრომის" ენერგოექსპანსიას პოლიტიკური ბერკეტების ხელში ჩაგდების სურვილით ხსნიდნენ და უშუალოდ კრემლის დაკვეთას უკავშირებდნენ. თუმცა, შესაძლოა, კრემლის ეს დაკვეთა საქართველოს სტრატეგიულ დარგზე კონტროლის მოპოვების სურვილით სულაც არ იყოს ნაკარნახევი. ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებასთან საუბრის გამაიოლებელ ბერკეტს – ქვეყნის გაზმომარაგების სფეროს – რუსეთი გაცილებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანი პროექტის "დამატების" სახით ჩაიგდებს ხელში.

შედეგად, ექსპერტები იმ საფრთხეებზე საუბრობენ, რომლებიც "გაზპრომის" საქართველოში შემოჭრას ახლავს თან.

**"ჩვენ ორი თვის განმავლობაში ვსწავლობდით და ვაზუსტებდით ამ ინფორმაციას,** – აცხადებენ ექსპერტები დევი ხეჩინაშვილი და ლიანა ჯერვალიძე, - **დიდხანს ვიკავებდით თავს მისი საჯაროდ გაცხადებისაგან, მაგრამ თუ ჩვენი ლოგიკა სწორია, მაშინ გამოდის, რომ "გაზპრომთან" ხელისუფლების მიერ ამ ფორმით დადებული 25-წლიანი შეთანხმების გამო საქართველოს ყველა გზა მოჭრილი აქვს იმისაკენ, რომ სამხრეთ-ჩრდილოეთის ენერგეტიკული კორიდორის პროექტის ამოქმედების შემთხვევაში მაქსიმალურად ისარგებლოს მისი სიკეთით."**

მართლაც, იქნებ სწორედ ირანული გაზის საბადოზე თავისი კუთვნილი წილის ევროპისაკენ სატრანსპორტო კორიდორის შესაქმნელად გააფორმა გაზის რუსულმა გიგანტმა საქართველოსთან 25-წლიანი ხელშეკრულება სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ?! ამ ხელშეკრულებით ხომ საქართველოს გაზის ინფრასტრუქტურას მთლიანად "გაზპრომი" დაეპატრონება, ქართული მხარე კი საკუთარ სტრატეგიულ დარგზე კონტროლის ბერკეტებს ბოლომდე დაკარგავს. მით უმეტეს, რომ ხელშეკრულებაში ცალკე პუნქტად არის შესული "გაზპრომთან" ერთობლივი საწარმოს შექმნის საკითხი, რომელსაც საქართველოს გაზის ინფრასტრუქტურა უნდა გადაეცეს, საუბარია "გაზპრომის" მიერ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენებით სარგებლობასა (ტრანზიტის მიმართულების გარეშე!) და საქართველოს გაზის ინფრასტრუქტურის პრივატიზებაში მონაწილეობაზე. ამ შეთანხმებით, საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში "გაზპრომს" უკვე უნდა წარუდგინოს გაზის სექტორში საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა. მესამე კვარტალი კი ამ თვის ბოლოს იწურება.

ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ უკვე საყოველთაოდ არის ცნობილი ეკონომიკური ექსპანსიის რუსული გეგმა. მეთოდი, როცა ვალების დაგროვებით რუსული სახელმწიფო კომპანიები სხვადასხვა ქვეყნებში სტრატეგიულ დარგებზე ნადირობენ. საქართველოს გაზის სექტორის გადახდისუუნარიანობა ძალიან დაბალია. შესაბამისად, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია, რომ გაზის მთელი ინფრასტრუქტურა "გაზპრომის" უშუალო საკუთრება გახდეს. ნაწილი – პრივატიზაციის, ნაწილი კი – ვალებში გაქვითვის გზით.

**"საქართველოს მთავრობამ ამ ხელშეკრულების გაფორმებით, ფაქტობრივად, საქართველოს გაზის ბაზარზე ხელოვნური მონოპოლისტი შექმნა. იმის ნაცვლად, რომ ბუნებრივი აირის მომწოდებელთა დივერსიფიცირებაზე, ბაზრის ლიბერალიზებასა და რეგიონული გეოპოლიტიკური უპირატესობების ეფექტურ გამოყენებაზე ეზრუნა, წინასაარჩევნოდ კრემლის პოლიტიკას დაჰყვა და "გაზპრომთან" მოლაპარაკებით სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (შაჰდენიზი) პროექტს ირიბი საფრთხე შეუქმნა, რითაც შესაძლოა, ამ პროექტის შესახებ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებაც კი დაარღვია,"** – ასეთია ექსპერტთა პოზიცია. ამ საფრთხეს ექსპერტები თურქეთის ბაზრის "გაზპრომის" გაზით გაჯერებაში ხედავენ, რაც შაჰდენიზის გაზს ეკონომიკურ მიმზიდველობას დააკარგვინებს.



"გაზპრომს" საქართველოში შორს მიმავალი მიზნები ამოძრავებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ "გაზპრომი" ირანული გაზის ევროპისაკენ წაღებას საქართველოს გავლით აპირებს, მომავალში, შესაძლოა, ქართულ მხარეს გზის აფხაზეთზე გავლით შემოკლების საკითხის წამოწევის იმედიც აქვს. აფხაზეთის თემა, შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ედუარდ შევარდნაძესთან საუბრისას, ხოლო "გაზპრომის" თავკაცმა ალექსეი მილერმა – მირცხულავა-ნიკოლაიშვილთან მოლაპარაკებებში კოზირად გამოიყენეს.

ბუნებრივია, საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებთან რუსეთის მხრიდან წამოწყებული საუბარი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების თაობაზე, რაც თითქოს "ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმით" უნდა განხორციელდეს, ქართული მხარისთვის მიმზიდველი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ამთავითვე გამორიცხულია, სამხრეთ-ჩრდილოეთის ენერგეტიკული კორიდორის დაცვა (მისი განხორციელების შემთხვევაში) "გაზპრომმა" ქართულ საჯარისო ნაწილებს ანდოს. ბუნებრივია, მას ისევ რუსი სამხედროები დაიცავენ. შედეგად, მათი საქართველოში ყოფნის ვადები დაუსრულებელი დროით გადაიწევს, აფხაზეთის რეგიონში კი რუსეთის გავლენა არათუ შესუსტდება, არამედ გაძლიერდება კიდეც.

და ბოლოს: იმ საფრთხეების გარდა, რაც შეუიარაღებელი თვალით ჩანს, არსებობს კიდევ ერთი საშიშროება, რომლის თაობაზეც ექსპერტები ფრთხილად საუბრობენ.

**"ცნობილია, რომ რუსული კომპანიები აშკარად თუ ფარულად გარიგებებში შედიან პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ და ფინანსურ ჯგუფებთან,"** – მიგვანიშნებენ დევი ხეჩინაშვილი და ლიანა ჯერვალიძე.

მათი შეფასებით, ირანული გაზის ექსპორტი საქართველოს სისტემის რევერსირებითა და გაფართოებით აფხაზეთის მიმართულებით დიდ ფინანსურ ნაკადებს წარმოშობს, რომელსაც რუსული და ქართული ფინანსური და პოლიტიკური ჯგუფები გაინაწილებენ. **"სავარაუდოა, რომ ეს ჯგუფები შეეცდებიან, გაზის ბაზრის ლიბერალიზება შეაფერხონ, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების დემოკრატიზაციასა და მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე,"** – ასეთია ექსპერტთა პროგნოზი, რომელიც "გაზპრომთან" გაფორმებულ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ შეთანხმებაზე დაყრდნობით კეთდება.

მართლაც, რა საჭირო იყო ამ ხელშეკრულების გაფორმება, თუ "გაზპრომი" საქართველოსთან მხოლოდ კომერციულ ურთიერთობას გეგმავდა? რატომ არაფერი ითქვა "გაზპრომის" მიზნების შესახებ, თუკი გაზის რუსული გიგანტი ახალი –სამხრეთ-ჩრდილოეთის ენერგეტიკული კორიდორის ამოქმედებას აპირებდა?

სავარაუდოდ, ამ გეგმების შესახებ ხმამაღლა საუბარი ყველაზე მეტად ხელს არ აძლევდა საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ვითომდა გაზის ერთ მომწოდებელს – "იტერას", მეორეთი – "გაზპრომით" ანაცვლებდა და მეტი არაფერი. ხელს არ აძლევდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ "გაზპრომის" გეოსტრატეგიული გეგმების გაცხადების შემთხვევაში საზოგადოება მთავრობისგან "გაზპრომთან" სასაუბრო ტონის გამკაცრებას მოითხოვდა. მეორეც, საქართველოს ბაზარზე "გაზპრომის" შემოყვანის დეტალებით ფართო საზოგადოება დაინტერესდებოდა, რის გამოც იმ ჯგუფს, რომელიც "გაზპრომთან" ურთიერთობიდან თავის გამორჩენას ელის, შესაძლოა, ალექსეი მილერთან საკუთარ ინტერესებზე საუბარი გასჭირვებოდა.

**"თუ "გაზპრომთან" დადებული შეთანხმება არ გადაისინჯა, ან მისი სრული დენონსირება არ მოხდა, ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის ყველა სიკეთე ქვეყანას გვერდს აუვლის და მხოლოდ "გაზპრომის" საკუთრება იქნება,"** – მიიჩნევენ დევი ხეჩინაშვილი და ლიანა ჯერვალიძე. მათი განცხადებით, "გაზპრომთან" კომერციული თანამშრომლობის წინააღმდეგი არავინ არის. უბრალოდ, გაზის რუსულ გიგანტთან დადებული კონტრაქტები, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვასთან გაფორმებული შეთანხმებები, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს დასავლეთ-აღმოსავლეთის ენერგეტიკული დერეფნის, ენერგეტიკული ქარტიისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებების ჩარჩოში აღებულ ვალდებულებებს.

# ჩუბაისს გრძელი ხელები აქვს

პირველი გვერდიდან

საქართველო-რუსეთის საზღვარზე მდებარე აფხაზეთი რომ რაოს ენერგეტიკული სამიზნეა, არც ამას მალავს და გულახდილად ამბობს, რომ ენგურჰესის მოდერნიზაციას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. მერედა, ვის არ აძლევს ხელს პოლიტიკური სტაბილიზაცია?.. ჟურნალისტები თხოვენ, დაასახელოს საქართველოში შეძენილი აქტივების თანხა. ჩუბაისი კონფიდენციალურობას იმიზეზებს. ცხადი ხდება, რომ სომხეთის ატომური სადგურების პოტენციალის გამოყენება, საქართველოდან თურქეთის მიმართულებით გარღვევა რაოს გრძელვადიანი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია. რაოს ელექტროენერგეტიკული პროექტების ახალი პერსონაჟებია ბალტიის ქვეყნები. მაგალითად, ლიტვაში ჩუბაისი იგივე პრომამერიკულ ლობის გადააწყდა, როგორც საქართველოში. მაგრამ რუსეთის მთავარ მონოპოლისტს ხელს არაფერი შეუშლის: ჟურნალისტებს ეუბნება, რომ რუსეთის პრეზიდენტის დავალებით იგი გააგრძელებს დსთ ენერგეტიკული სივრცის აღდგენას. ჟურნალისტებს ახსენდებათ, რომ იალტაში დსთ სამიტის წინ ასეთი განცხადებაც საგულისხმოა. იქვე გაისმის დამაიმედებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საჭიროდ არ მიიჩნევს საქართველოში ტარიფების გაზრდას. "ფასებს ელექტროენერგიაზე საქართველოს ხელისუფლება აწესებს და არა ჩვენ," - ამბობს ჩუბაისი.

რუსეთის ირგვლივ მომგებიანი საინვესტიციო კლიმატი შექმნილია. ჩუბაისს თავისუფლად შეუძლია, წინასაარჩევნო ომში გადაეშვას. საპარლამენტო არჩევნებიც ბიზნესია, ჩუბაისის ბიზნესს კი ყველგან შეუვალი ლოგიკა აქვს. წინსააარჩევნო რუსეთში ასეთი ლოგიკა ამართლებს. ჩუბაისი ზედმეტად თავდაჯერებული ნიუსმეიკერიცაა, რომელთანაც ყველანაირი არგუმენტი გეკარგება, ამიტომაც ჟურნალისტები მწარედ ილიმებიან... ჩუბაისი ახსენებს წინა დღეს მოსკოვში სტუმრად მყოფ ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრას. "ჩვენ შევძლებთ იმას, რაც პატივცემულმა დიპლომატებმა ვერ შეძლეს," - ამბობს რაო ეესის მმართველი.

ჩუბაისის პრესკონფერენცია წინასაარჩევნო რუსეთის მასმედიამ ძუნწად გააშუქა, ან თითქმის არ გააშუქა. იმიტომ კი არა, რომ პრესკონფერენციაზე დასმული ოცი შეკითხვიდან თხუთმეტი საქართველოს თემას შეეხებოდა - პოლიტიკურ რეკლამაში რომ არ ჩათვლოდა. რეკლამა და პიარი ერთადერთი ატრიბუტია, რაც ჩუბაისს ნამდვილად არ სჭირდება.

# პრეზიდენტი, ჩვეულებისამებრ, დიდი შემართებით მიემგზავრება

პირველი გვერდიდან

ოფიციალური ვერსიით, სწორედ დღეს დაწყებული ვიზიტის მოსამზადებელი სამუშაოების გამო გადაიდო გუშინ დანიშნული მთავრობის სხდომა. თუმცა, მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან მაინც შეიკრიბა – ოღონდ, ამჯერად დახურულ კარს მიღმა, სამუშაო ვითარებაში.

შეკრების მთავარი თემა სახელმწიფო კანცელარიაში დაგვიანებით შესული 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი გახლდათ, რომლის წარდგენის საკონსტიტუციო ვადები, ცხადია, ირღვევა. შეგახსენებთ, რომ ბიუჯეტის პროექტი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში 1 ოქტომბრამდე უნდა შესულიყო, რაც თუნდაც იმის გამო ვერ მოხერხდება, რომ ფინანსთა სამინისტროში მომზადებული პროექტი გუშინ პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე დაიწუნეს.

შევარდნაძემ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს დასახვეწი უწოდა და ფინანსთა სამინისტროს სხვა უწყებებთან ერთად ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის გაგრძელება მოსთხოვა.

ამის თაობაზე ჟურნალისტებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ განუცხადა. ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი დაუბალანსებელია. პროექტი მოითხოვს ფინანსთა სამინისტროს კონსულტაციებს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან და ასევე ეროვნულ ბანკთან.

ისაკაძემ აქვე განაცხადა, რომ კონსულტაციები 2004 წლის ბიუჯეტის შესახებ დაგვიანებულია. ის უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო და ამის ინიციატორი, პირველ რიგში, ფინანსთა სამინისტრო უნდა ყოფილიყო. ცხადია, ამ განცხადებით ისაკაძემ სახელმწიფო კანცელარიაში არსებული საერთო განწყობა გაახმოვანა.

ფაქტია, რომ ბიუჯეტის აღნიშნული პროექტი კიდევ საფუძვლიანად გადამუშავდება და ცხადია ისიც, რომ იგი 1 ოქტომბერს ვერ შევა პარლამენტში, რომელსაც, თავის მხრივ, მუშაობა უკვე დასრულებული აქვს.

ამიტომ, ბიუჯეტის პარამეტრებზე საუბარი დღეს აზრს მოკლებულია, თუმცა შეიძლება ის მაინც ითქვას, რომ მომავალ ბიუჯეტს, მინიმუმ, ანუ უკეთეს შემთხვევაში, 120 მილიონის საგარეო და 90 მილიონის საშინაო დავალიანება ერგება მემკვიდრეობით.


პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი და პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

აცხადებს

- პროფესიული სერტიფიცირების მსურველთა მიღებას ACCA-ს პროგრამით.

ინტენსიური მომზადება და გამოცდები 14 წიგნში (პრაქტიკის მქონე სპეციალისტებისათვის - 8 წიგნში). სასწავლებლად მიიღებიან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები და ეკონომიკური პროფილის სტუდენტები.

- ბუღალტერთა გადამზადებას "სერტიფიცირებული მთავარი ბუღალტრის" საკვალიფიკაციო პროგრამით.

საბუთები მიიღება ა.წ. 20 სექტემბრამდე წერეთლის 61

ტელ: 35 01 57, 98 43 96. მობ: 899 56 78 42


## მოკლედ

### "ბრითიშ მედიტერენიანის" ბედი "აირზენაზეა" დამოკიდებული

გუშინ, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში დებორა ჯონსმა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს - "შეთანხმებას საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ" და მთავრობებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს. მაგრამ ეს ფაქტი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ბრიტანული ავიაკომპანია "ბრითიშ მედიტერენიანი" თბილისსა და ლონდონს შორის ფრენებს დაუყოვნებლივ განაახლებს. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ზურაბ ჭანკოტაძე აცხადებს, რომ საჰაერო მიმოსვლის აღდგენამდე აუცილებელია მოხდეს ხელმოწერილი დოკუმენტების რატიფიცირება პარლამენტის მიერ და რაც ყველაზე მთავარია, დაიწყოს მოლაპარაკებები, რათა გაფორმდეს კომერციული ხელშეკრულება ქართულ ავიაკომპანია "აირზენასთან", რომელიც ქვეყანაში ძირითადი გადამზიდავი გახლავთ. ქართულ და ბრიტანულ ავიაკომპანიებს შორის მოლაპარაკებებს მერაბ ადეიშვილიც მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევს. რაც შეეხება ფრენების განახლების სავარაუდო თარიღს, ბრიტანეთის ელჩის განცხადებით, მისი დასახელება, ჯერჯერობით, შეუძლებელია და იგი ქართულ ავიაკომპანიასთან კომერციული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გახდება ცნობილი.

გამოდის, რომ ქართულ საავიაციო ბაზარზე "ბრითიშ მედიტერენიანის" ბედი ყველაზე მეტად "აირზენაზე" ყოფილა დამოკიდებული. "აირზენაში" აცხადებენ, რომ ბრიტანული ავიაკომპანია ყოველთვის მხოლოდ მემორანდუმის საფუძველზე დაფრინავდა, რადგან არ არსებობს სამთავრობათაშორისი ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის. "ბრითიშ მედიტერენიანს" ყოველთვის შეეძლო და დღესაც შეუძლია განაახლოს საჰაერო მიმოსვლა ჩარტერული რეისებით, რაზეც ის უარს ამბობს. რაც შეეხება კომერციულ ხელშეკრულებას, მათივე განცხადებით, დოკუმენტის მიხედვით მოხდება კვოტების განაწილება, რათა ბაზარზე ორივე ავიაკომპანია თანაბარი პირობებით წარდგეს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**წყალტუბო.** გუშინ წყალტუბოს პოლიციამ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება-შენახვაში ეჭვმიტანილი, ამავე რაიონის სოფელ მაღლაკში მცხოვრები, 42 წლის ტარიელ ნიკოლეიშვილი დააკავა. ნიკოლეიშვილის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის დროს სამართალდამცველებმა ამოიღეს 7 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა" და ერთი ცალი "ფ-1" ტიპის ხელყუმბარა თავისი დეტონატორით. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** გუშინ რუსთავის და ქვემო ქართლის პოლიციის თანამშრომლებმა 2 პიროვნება დააკავეს, რომელთაც ავტომანქანის გატაცება ედებოდათ ბრალად.

რუსთავის პოლიციის უფროსი დავით მჭედლიშვილი აცხადებს, რომ ორივე პიროვნება რუსთაველია. ერთი ავთანდილ გეგეშიძეა, მეტსახელად "ანტოშკა" - ყოფილი მხედრიონელი და რამდენჯერმე ნასამართლევი, ხოლო მეორე ყაჩაღობისთვის ორჯერ ნასამართლევი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი ოთარ ტყეშელაშვილია, მეტსახელად "ცხრათითა". მჭედლიშვილის განცხადებით, თელავში აღმოჩენილი გატაცებული ავტომანქანა რუსთავის პოლიციამ მფლობელს უკვე დაუბრუნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** გუშინ რუსთავის პოლიციამ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე რუთავში, ჭყონდიდელის დასახლებაში მცხოვრები გოგოლაურების ოჯახში 500 მეტრის მაღალი ძაბვის ელექტროსადენი აღმოაჩინა. აღმოჩენილი ელექტროსადენები, სავარაუდოდ, გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოშია მოპარული. ეჭვმიტანილთა შორის კი გოგოლაურების ოჯახის წევრებიც არიან. რუსთავის პოლიცია სამძებრო ღონისძიებას ატარებს დამნაშავეთა დასაკავებლად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გუშინ მიღებული გადაწყვეტილებით, თბილისში 1 დეკემბრამდე ელექტროენერგიის ძველი ტარიფი იმოქმედებს. სემეკ-ის გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისთვის გადაიგზავნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის მთავრობამ ოთხშაბათს მიიღო გადაწყვეტილება სომხეთის ატომური ელექტროსადგურის "ინტერ რაო ეეს"-ისთვის 5 წლით მართვაში გადაცემის თაობაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, "ბანკი ქართული კაპიტალისათვის" გაუქმდა, რაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 17 სექტემბერს გამოცემული ბრძანების შეუსრულებლობამ გამოიწვია. "ბანკი ქართული კაპიტალისათვის" ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ეკონომიკურ ნორმატივებში ვერ ჩაეტია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი გელა კობეშავიძე საქართველოში კონტრაბანდული სიგარეტის შემოტანის გასაკონტროლებლად შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრას აპირებს და კონტრაბანდასთან ბრძოლის გარკვეულ მონიტორინგს განახორციელებს.

კობეშავიძის თქმით, მან ქვეყნის ხელისუფლებას 70-გვერდიანი რეკომენდაცია წარუდგინა, საიდანაც ჯერ არც ერთი საკითხი გათვალისწინებული არ არის. "კონტრაბანდასთან ბრძოლით საქართველოში მხოლოდ ვიწრო ჯგუფები არის დაინტერესებული და მის აღმოსაფხვრელად შესაბამისი უწყებები ღონისძიებებს არ ატარებენ," - აღნიშნა კობეშავიძემ. **ინტერ-პრესი**

## 2020 წელს რუსეთში ყოველთვიურად 20 ათასი ადამიანი დაიღუპება, თუკი...

მსოფლიო ბანკმა საგანგაშო მონაცემები გამოაქვეყნა, რომელთა თანახმადაც, თუკი შიდსის ეპიდემია რუსეთის ფედერაციაში ამ ტემპებით გააგრძელებს ზრდას, 2010 წლისათვის რუსეთში შიდსით ყოველთვიურად ათასი ადამიანი დაიღუპება, ხოლო სახელმწიფო 4 პროცენტით გაღარიბდება.

მსოფლიო ბანკის ექსპერტების მოხსენების თანახმად, შიდსის ეპიდემიის გავრცელების ტემპების მიხედვით, მსოფლიოში პირველ ადგილზე აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნები იმყოფებიან.

კერძოდ, 2001 წელს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში შიდსით დაავადების 250 ათასი ახალი შემთხვევა დაფიქსირდა, რის შედეგადაც ინფიცირებულთა რიცხვი 1,2 მილიონ ადამიანამდე გაიზარდა. 2010 წლისათვის კი ეს ციფრი აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში 8 მილიონს მიაღწევს.

რაც შეეხება რუსეთს, აქ შიდსით ინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ 2002 წელს 214 ათასი ადამიანი შეადგინა და, ამდენად, 2001 წელს გამოვლენილ ინფიცირებულთა რაოდენობას 80 ათასით გადააჭარბა. დღეს რუსეთში ყოველთვიურად შიდსის ვირუსით 500 ადამიანი იღუპება. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ 2020 წელს ეს ციფრი 20 ათას ადამიანს გადააჭარბებს.

არსებული მონაცემებით, ინფიცირებულთა ძირითად ნაწილს ახალგაზრდობა შეადგენს, რომელთა უმრავლესობაც ნარკომანია. ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე შიდსის გავრცელების სწრაფი ტემპების გამომწვევ ფაქტორს კი სწორედ ნარკომანია წარმოადგენს.

თუმცა, ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებს შორის რუსეთი გავრცელების ტემპებით პირველ ადგილზე მაინც არ იმყოფება. ის მხოლოდ ესტონეთს ჩამორჩება, სადაც შიდსის ეპიდემია უკვე საგანაგაშო მოვლენად იქცა. რუსეთის შემდეგ კი შიდსის ვირუსის გავრცელების მიხედვით მოდიან: უკრაინა, ლატვია და ბელორუსი.

მსოფლიო ბანკის მოხსენებაში ძირითადი აქცენტი შიდსის გავრცელების სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზეა გამახვილებული. მსოფლიო ბანკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ასეთ ვითარებაში უმოქმედობამ, შესაძლოა, გამოუსწორებელი კატასტროფა გამოიწვიოს. ამ კუთხით, მათ ბრაზილიის და ტაილანდის მაგალითი მოჰყავთ, სადაც დროული ღონისძიებების განხორციელებით ამ სასიკვდილო დაავადების გავრცელების შეჩერება წარმატებით მოხერხდა.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ შიდსის ეპიდემია რუსეთში ეკონომიკურ ზრდას წელიწადში 0,5-1,05-ით დასწევს, ხოლო ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები 3 პროცენტით გაიზრდება. თუკი ვირუსს გავრცელების ტემპი შეუნარჩუნდება, 2010 წლისათვის რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 4,15 პროცენტით, ხოლო ინვესტიციების მოცულობა – 5,5 პროცენტით შემცირდება.

### ორი სიტყვით

**სტოკჰოლმი**. შვედეთის პოლიციამ განაცხადა, რომ დაპატიმრებულია მამაკაცი, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის, ანა ლინდის მკვლელობაში ედება ბრალი. მის ვინაობას ჯერ არ ასახელებენ. ამჟამად პოლიცია არკვევს, ემთხვევა თუ არა ბრალდებულის დნმ და თითების ანაბეჭდები მკვლელობის ადგილზე აღმოჩენილს.

■ ■ ■

**ვაშინგტონი**. ნატო-ს ყოფილმა უმაღლესმა მთავარსარდალმა უესლი კლარკმა აშშ-ს პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურა წამოაყენა. კლარკი მეათე დემოკრატი კანდიდატია, რომელიც თეთრი სახლისათვის იბრძოლებს.

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანის ოპოზიციის გაერთიანება დაიწყო. ოპოზიციის მხრიდან პრეზიდენტობის ერთ-ერთმა მთავარმა კანდიდატმა, სახალხო ფრონტის ლიდერმა ალი კერიმლიმ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერის, ეტიბარ მამედოვის სასარგებლოდ, თავისი კანდიდატურა მოხსნა.

■ ■ ■

**ბაღდადი**. გავრცელდა სადამ ჰუსეინის კიდევ ერთი მიმართვა, რომელშიც იგი ამერიკელებს მოუწოდებს, სასწრაფოდ დატოვონ ერაყი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერაყელები ამას ძალით გააკეთებინებენ.

## ამერიკელები არ აღიარებენ, რომ ერაყში შეცდომა დაუშვეს

პირველი გვერდიდან

ყველასგან, ვისაც დახმარების გაწევა შეუძლია. მაგრამ, მათ არ სურთ კონტროლის დათმობა და სანამ ისინი ამაზე არ წავლენ, არ მესმის, როგორ შეძლებენ დახმარების მიღებას.

**- თუმცა, ამერიკას უამრავი ჯარისკაცი ჰყავს ერაყში და უამრავ ფულსაც ხარჯავს**.

- ამერიკას ახლა 140 ათასი ჯარისკაცი ჰყავს ერაყში. ეს ძალიან ბევრია. ჩვენი სამხედრო რესურსები მეტისმეტადაა გაწელილი. ჯარისკაცები სახლში ვერ ბრუნდებიან. მაგრამ, ეს რაოდენობა მაინც არ არის საკმარისი,

რაც შეეხება ფინანსებს, ბუშმა 87 მილიარდი მოითხოვა კონგრესისაგან. თუმცა, მას არა აქვს გარანტია, რომ ამ ფულს მიიღებს. ეს უარყოფით გავლენას მოახდენდა ამერიკის ეკონომიკაზე. მე მგონი, ამერიკელები სულ უფრო უარყოფითად არიან განწყობილი ამ ომისა და მისი შედეგების მიმართ.

**- სხვა ქვეყნების ჯარისკაცების შემოყვანა ვაშინგტონისათვის ახლა საუკეთესო არჩევანია?**

- ახლა ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ ვაშინგტონში ბევრს უჭირს ამის აღიარება. ომის წინ ძალიან ბევრი დაპირებები კეთდებოდა. ახლა იმის აღიარება, რომ ამერიკელები ვერ მართავენ ერაყს, ძალიან ძნელია.

ამერიკელებს ეგონათ, რომ ისინი შევიდოდნენ, დაამხობდნენ მთავრობას და წავიდოდნენ ერაყიდან, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ შეინარჩუნებდნენ ამ ქვეყანაში სამხედრო ბაზებს და ნავთობზე კონტროლს. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი გაცილებით ძნელია, ვიდრე თავიდან ეგონათ. თვით რიჩარდ პერლმაც კი შეიცვალა პოზიცია და ახლა აცხადებს, რომ საჭიროა "კურსის კორექტირება". მაგრამ ვოლფოვიცს, ჩეინისა და ბუშს ჯერ არ უღიარებიათ, რომ მათ უზარმაზარი შეცდომა დაუშვეს.

**- თუ აღიარებს ადმინისტრაცია, რომ მას მხოლოდ ორი არჩევანი აქვს: ინტერნაციონალიზაცია ან ერაყის დატოვება?**

- მათ სურთ, რომ სხვა ქვეყნებმა გამოყონ ფული და ჯარისკაცები, მაგრამ კონტროლის დათმობა არ სურთ. ჟენევის შეხვედრაზე, ფრანგებმა, გერმანელებმა და სხვებმა განაცხადეს, რომ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეხმარებიან ამერიკას, თუ ერაყზე კონტროლის ნაწილს დაუთმობენ.



ჯორჯ ბუში

**- დროთა განმავლობაში თუ გახდება ამერიკა უფრო დამყოლი ფრანგების, გერმანელებისა და რუსებისადმი?**

- თუ ერაყში ვითარება არ შეიცვლება, ალბათ, ასეც იქნება. თუმცა, ჯერჯერობით, პოკერის თამაში მიმდინარეობს. სხვა ქვეყნები ჩვენს წინააღმდეგ არ გამოდიან, მაგრამ არც დასახმარებლად მოიჩქარიან.

**- რა გავლენას იქონიებს ვითარება ერაყში ამერიკაში არჩევნების შედეგებზე?**

- საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები იცვლება. ბუშის მიერ მოთხოვნილი 87 მილიარდი ამ პროცესს უფრო დააჩქარებს. გაიხსენეთ, რომ უფროსმა ბუშმა სწორედ ეკონომიკის გამო წააგო მეორე არჩევნები. ახლაც ამერიკის ეკონომიკას საქმეები კარგად ვერ მისდის. დეფიციტი იზრდება. ბუშის პოპულარობა კი კლებულობს.

**- თუ გამოიყენებენ ფრანგები, გერმანელები და რუსები ერაყში შექმნილ ვითარებას ზოგადად ამერიკული ჰეგემონიის წინააღმდეგ?**

- რა თქმა უნდა. ისინი ამბობენ: "ხომ გეუბნებოდით, რომ ასე მოხდებოდა. თქვენ გეგონათ, რომ ამ პრობლემას ჩვენს გარეშე მოაგვარებდით, ახლა კი ცხვირი წაიმტვრიეთ. ახლა ხომ ხედავთ, რომ თქვენ გჭირდებათ გაერო, გჭირდებათ სხვების დახმარება და თქვენც სხვებისადმი უფრო მეტი კეთილგანწყობა უნდა გამოიჩინოთ".

**- ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ქაოსი ერაყში გაერო-ს გაძლიერებას გამოიწვევს?**

- მე მგონი, ყველა გაიგებს, რომ საერთაშორისო პრობლემები სხვადასხვა ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოგვარდეს. ეს დაადასტურა კოფი ანანმაც, როდესაც ჟენევაში ხუთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა მოიწვია.

**- ერაყში წარუმატებლობის შემთხვევაში, ამერიკა უფრო ნაკლებად ჩაერევა საერთაშორისო საკითხებში?**

- მე ვფიქრობ, თუ ამერიკა კიდევ განიზრახავს რომელიმე ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას, იგი შეეცდება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მოპოვებას და უფრო მეტად დაფიქრდება გაუთვალისწინებელ შედეგებზე.

**- უშიშროების საბჭოს ქვეყნების პოზიციები მრავალ საკითხზე განსხვავდება. რამდენად მოახერხებენ ისინი გლობალური პრობლემების გადაჭრას?**

- მსოფლიო პრობლემები, ისეთი, როგორიცაა გარემოს დაცვა, მიგრაცია და სხვ. სულ უფრო კომპლექსური ხდება. ამგვარი პრობლემების მოგვარება მხოლოდ თანამშრომლობის გზით შეიძლება.

სულ უფრო აქტიური ხდება გაერო და კოფი ანანი. სწორედ მან მოაწყო ხუთი ქვეყნის შეხვედრა ჟენევაში, მისი ინიციატივით შედგა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელმაც ისრაელისა და პალესტინის საკითხები განიხილა. ვფიქრობ, სწორედ მან უნდა აიღოს თავის თავზე ლიდერის როლი.

**- საქართველოდან გაერო არც ისე ეფექტურ ორგანიზაციად ჩანს.**

- გაერო-ს შეუძლია იმოქმედოს, როგორც კატალიზატორმა. კოფი ანანმა შეიძლება ხელი შეუწყოს ამერიკელებს, რუსებს და სხვებს შეთანხმების მიღწევაში. ახლა იგი ამის გაკეთებას ცდილობს ერაყსა და ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით. რაც შეეხება გაერო-ს, როგორც თავისთავად ძალას, ვფიქრობ, რომ აქამდე ჯერ კიდევ შორია.

**- თქვენი აზრით, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს კავკასიისათვის?**

- ერაყის ომის გამო, ამერიკის ყურადღება მსოფლიოს სხვა რეგიონებისადმი მცირდება. 87 მილიარდი, რომელიც ბუშმა ერაყისათვის მოითხოვა, გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ის დახმარება, რომელსაც ამერიკა დანარჩენ მსოფლიოს უწევს. ასე რომ, სანამ ერაყი და ახლო აღმოსავლეთი ყურადღების ცენტრშია, სხვა რეგიონებს ჩრდილში დარჩენა მოუწევთ.

## "ლიცენზია არაფატის მკვლელობისათვის"

### აშშ-მ გაერო-ს რეზოლუციას ვეტო დაადო



იასირ არაფატი

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ გაერო-ს უშიშროების საბჭოში კენჭი უყარეს რეზოლუციას, რომელიც ისრაელს პალესტინის ლიდერის იასირ არაფატის წინააღმდეგ რადიკალურ მოქმედებას უკრძალავს. ყველას გასაკვირად, ამ რეზოლუციას აშშ-მ ვეტო დაადო.

გაეროში აშშ-ს ელჩის ჯონ ეგროპონტეს განცხადებით, რეზოლუცია ვაშინგტონმა იმიტომ უარყო, რომ მასში არ არის დაგმობილი პალესტინური ექსტრემისტული ორგანიზაციების "ჰამასის," "ისლამური ჯიჰადის" და "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" მოქმედება.

რეზოლუციას ხმა მისცა უშიშროების საბჭოს თერთმეტმა წევრმა, ხოლო ბრიტანეთმა, გერმანიამ და ბულგარეთმა თავი შეიკავეს.

დებატების დროს, ისრაელის და პალესტინის წარმომადგენლებმა ურთიერთსაწინააღმდეგო მკვეთრი განცხადებები გააკეთეს. გაერო-ში ისრაელის ელჩმა დან გილერმანმა არაფატს **"პროფესიონალი ტერორისტიც"** კი უწოდა, რის შემდეგაც პალესტინის წარმომადგენლებმა სხდომათა დარბაზი დატოვეს. **"არაფატი, მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმის მსგავსი გლობალური ტერორიზმის საქესთან დგას, და რეგიონს კატასტროფისაკენ მიაქანებს,"** - განაცხადა გილერმანმა. **"ის მკვლელი სატანა და საკუთარი ხალხის უდიდესი ტრაგედიაა,"** - დასძინა მან.

პალესტინის წარმომადგენელმა გაერო-ს უშიშროების საბჭოში ნასერ ალ-ქიდვამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ისრაელის მიერ განხორციელებული აქცია არაფატის წინააღმდეგ, **"უკანონო და უაზროა."** მან თავისი ებრაელი კოლეგის გამოსვლას **"სრული ბოდვა"** უწოდა.

რეზოლუციის პროექტი სირიამ მოამზადა. მის მთავარ მოთხოვნას არაფატისათვის ხელშეუხებლობის საერთაშორისო გარანტიის მოპოვება წარმოადგენდა.

აშშ-მ თავიდანვე განაცხადა, რომ რეზოლუციის პროექტს მხარს არ დაუჭერდა, რადგან მასში არ იყო დაგმობილი პალესტინური ექსტრემისტული ორგანიზაციების ძალადობრივი ქმედებები. ვაშინგტონის კრიტიკის შემდეგ, სირიამ რეზოლუციის ტონი აშკარად შეარბილა. კერძოდ, პროექტში ჩაიწერა პუნქტი, სადაც გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება ბოლო პერიოდში პალესტინური ინტიფადას საშიში ფორმების გამო. რეზოლუციის პროექტში მოთხოვნილი იყო კამიკაძეთა მოქმედებების შეწყვეტა და ისრაელის დევნის შეწყვეტა პალესტინელი მებრძოლების წინააღმდეგ.

რეზოლუციის პროექტში კომპრომისული ვარიანტის ჩამატების მიუხედავად, აშშ-მ რეზოლუციას ვეტო მაინც დაადო.

ამავდროულად, ისრაელზე საერთაშორისო ზეწოლა იზრდება, მას შემდეგ, რაც ისრაელის ვიცე-პრემიერმა ეჰუდ ოლმერტმა განაცხადა, რომ არაფატის ლიკვიდაცია მის მოსაშორებლად ჩასატარებელი ოპერაციის ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება.

აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლონდონში ისრაელის ელჩი გამოიძახა და განუცხადა, რომ ასეთი გამონათქვამები დაუშვებელია.

ლონდონს არც ვაშინგტონი ჩამორჩა. სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა შეშფოთება გამოთქვა არაფატის შესაძლო მკვლელობის გამო და განაცხადა, რომ ასეთი მოქმედება არაფატის წინააღმდეგ მთელი მუსულმანური სამყაროს რისხვას გამოიწვევს.

ახლო აღმოსავლეთში გაერო-ს მისიის ხელმძღვანელმა ტერიე როდ-ლარსენმა პირდაპირ მიუთითა, რომ იასირ არაფატი პალესტინელების ეროვნულ თვითმყოფადობასთან არის გაიგივებული და ამის გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია.

ისრაელის ვიცე-პრემიერის გამოხდომას გამოეხმაურა არაბული ქვეყნების ლიგაც, რომლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს საკითხი კაიროში არაბული სამყაროს ლიდერების საგანგებო თათბირზე განიხილება.

საერთაშორისო ზეწოლის ასეთი ტალღის გამო, ისრაელი იძულებული გახდა, უკან დაეხია. ვიცე-პრემიერის განცხადების განეიტრალება საგარეო საქმეთა მინისტრმა სილვან შალომმა სცადა. მან განაცხადა, რომ პალესტინის ლიდერის მკვლელობა ისრაელის ოფიციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი არ არის.

მართალია, აშშ-მ ისრაელის ამგვარი განცხადება დაგმო, მაგრამ მისმა ვეტომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე არაბული სამყაროს აღშფოთება გამოიწვია. **"ლიცენზია მკვლელობისათვის,"** - ასეთი შეფასება მისცა პალესტინის მთავრობის წევრმა საებ ერექათმა ვაშინგტონის პოზიციას. მან იმედი გამოთქვა, რომ ისრაელი რეზოლუციის პროექტის ჩავარდნას და კერძოდ, მასზე აშშ-ს ვეტოს დადებას არ აღიქვამს, როგორც საერთაშორისო ნებართვას არაფატის მკვლელობაზე.

## ერაყის რეკონსტრუქციის პროცესი სულ უფრო მეტ თანხებს საჭიროებს

*ერაყში მიმდინარე სტაბილიზაციის პროცესი სულ უფრო მეტ თანხებს საჭიროებს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ერაყის რეკონსტრუქციის პროცესისთვის ამ წელს დამატებით კიდევ 87 მილიარდი დოლარი ესაჭიროება. კონგრესის წევრები არ არიან წინააღმდეგი, გაიღონ აღნიშნული თანხა, თუმცა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყურადღებით იქნება შესწავლილი, თუ როგორ აპირებს მთავრობა ამ ფულის დახარჯვას.*

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება", პრაღა, სპეციალურად „24 საათისათვის„.

ერაყში მიმდინარე ძირითადი საბრძოლო ოპერაციის ფაზა სულ რაღაც ოთხი თვის წინ გამოცხადდა დასრულებულად, მაგრამ პრეზიდენტი ბუში იძულებული ხდება, მეორედ სთხოვოს კონგრესს დამატებითი ასიგნება 87 მილიარდი დოლარის მოცულობით. და ეს მაშინ, როცა არცთუ ისე დიდი ხნის წინ კონგრესმა უკვე დაამტკიცა 79 მილიარდი დოლარის ოდენობის თანხა რეკონსტრუქციის მხარდასაჭერად ერაყში. შესაბამისად, კონგრესის თავდაცვის კომიტეტში გასულ კვირაში გამართულ მოსმენაზე კონგრესმენებს აინტერესებდათ, გაეგოთ, თუ რითია გამოწვეული ხარჯების გაზრდა მაშინ, როცა ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტმა 500 მილიონ დოლარს მიაღწია და რატომ მიმართა ამერიკის მთავრობამ გაერო-ს უშიშროების საბჭოს, რათა დაეხმაროს ამერიკას წესრიგის დამყარებასა და ერაყის აღდგენის პროცესში.

ამერიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის - პოლ ვულფოვიცის განცხადებით, ერაყში საჭირო არ არის დამატებითი სამხედრო ძალა. მაგრამ სხვა ქვეყნის სამხედრო ქვედანაყოფების გაგზავნა აუცილებელია, რათა ჩაანაცვლოს ამერიკული შენაერთები.

*"გენერალმა აბიზაიდმა და მისმა მეთაურებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ მათ არათუ სხვა ქვეყნების დამატებითი ძალა, არამედ ამერიკული ქვედანაყოფების მობილიზებაც არ სჭირდებათ. მაგრამ მათი სურვილი იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ქვედანაყოფებმა გაინაწილონ ის სიმძიმე, რასაც ერაყში სტაბილიზაციის ძალები ეწევიან,"* - ასეთია ვულფოვიცის არგუმენტი.

მოსმენაზე ვულფოვიცს არ დავიწყებია, გაეხსენებინა 11 სექტემბრის ტერაქტი და განაცხადა, რომ 87 მილიარდი ძალიან მცირე თანხაა იმ საშიშროებასთან შედარებით, რასაც ტერორიზმი უქადის ამერიკის სტაბილურობას.

სენატორი დემოკრატიული პარტიიდან, ედვარდ კენედი, რომელიც ომის დაწყებისთანავე აკრიტიკებდა პრეზიდენტ ბუშის პოლიტიკას ერაყში, თავდაცვის მინისტრის მოადგილის ამგვარმა არგუმენტებმა, როგორც თავად განაცხადა, ვერ დაარწმუნეს.

კენედის თქმით, ამერიკელი ოჯახები გადაიხდიან ამ თანხას, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, თუ რამდენ ხანს გასტანს ოპერაცია ერაყში, რა ეღირება მთელი ეს სამხედრო კამპანია და აქვს თუ არა ბუშის ადმინისტრაციას შემუშავებული ნათელი პოლიტიკა, თუ როგორ აღადგინოს წესრიგი ერაყში და დაიცვას ამერიკელი სამხედროები.

*"მე დარწმუნებული ვარ, რომ შეკითხვები ამ პასუხებზე ჩვენ უნდა მივიღოთ მანამდე, ვიდრე ერაყის რეკონსტრუქციისთვის დამატებითი თანხის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას მივიღებდეთ. ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ სამხედრო მოსამსახურეებს. მაგრამ როდესაც თქვენ გვთხოვთ ათეულობით და ასეულობით მილიარდ დოლარს რეკონსტრუქციისთვის, ჩვენ გვაქვს უფლება, მივიღოთ პასუხები საჭიროროტო საკითხებზე, შეკითხვებზე".*

თუმცა, როგორც ირკვევა, ამერიკელი გადამხდელები დიდი სიხარულით არ შეხვედრიან რეკონსტრუქციისთვის დამატებითი თანხის გამოყოფის იდეას. მით უფრო მაშინ, როცა პრეზიდენტმა ბუშმა გადასახადები დაწია, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტმა 500 მილიარდ დოლარს მიაღწია.

"ვაშინგტონ პოსტისა" და ტელეკომპანია ეი-ბი-სის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ რესპონდენტთა 61 პროცენტი ბუშის მიერ მოთხოვნილ 87 მილიარდს მხარს არ უჭერს.

როგორც ვაშინგტონის ბრუკინგის ინსტიტუტის ეკონომისტმა ჰენრი აარონმა რადიო "თავისუფლებას" განუცხადა, იმისდა მიუხედავად, საპატიოა ეს თუ არა, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ ვერ განჭვრიტა მოვლენათა ისეთი განვითარება, რაც ამჟამად შეიქმნა ერაყში.

**"ცხადია, თუ რაც მოხდა: ჩვენ წავაწყდით უფრო მეტ პრობლემას, ვიდრე ველოდით. ალბათ, უფრო მეტის მოლოდინი უნდა გვქონოდა და მოვმზადებულიყავით მათ გადასაჭრელად, მაგრამ ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა და ამის გამო ახლა წინააღმდეგობებს ვაწყდებით."**

ვაშინგტონის ამერიკის უნივერსიტეტის ისტორიისა და პოლიტიკის პროფესორი ალენ ლიხტმანი ეთანხმება ამ მოსაზრებას. თუმცა, მისი თქმით, ძალიან საეჭვოა, რომ ვინმეს შეეძლოს, შეუმცდარად განჭვრიტოს იმ ომის ღირებულება, რომელიც გრძელდება.

ამასთან, ლიხტმანი აღნიშნავს, რომ შესაძლოა, ეს ინფორმაცია ბუშს შემონახული ჰქონდა, რათა ცუდი ამბავი ჩაკარგულიყო სადამ ჰუსეინის დამხობით გამოწვეული გამარჯვების ბრწყინვალებაში. მაგრამ როგორც ლიხტმანი ამბობს, გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორსაა. სადამ ჰუსეინის მომხრეები კვლავ განაგრძობენ შეიარაღებულ წინააღმდეგობას. ხოლო ომის ძირითადი ოპერაციების დამთავრების გამოცხადების დღიდან ერაყში 73 ამერიკელი და 11 ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა დივერსიებისა და თავდასხმების შედეგად.

რაც შეეხება სხვა ქვეყნების მხრიდან დახმარებას, მომავალ თვეში მადრიდში გაიმართება დონორი ქვეყნების კონფერენცია, რომელზეც გაცხადდება, თუ რომელი სახელმწიფო რა თანხის გაღებას აპირებს ერაყის რეკონსტრუქციის საქმეში. მაგრამ, როგორც ექსპერტები აცხადებენ, სხვა ქვეყნებს, განსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოებს, რომლებმაც უხვად გაიღეს ფინანსური საშუალებები კოსოვოსა და ავღანეთის აღდგენის პროცესში, თითქმის აღარაფერი აქვთ დასახარჯი. ამიტომ შეახსენებდა დონორებს ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარი, კრის პატენი, 3 სექტემბერს, რომ **"იაფად თქვენ ვერ შეძლებთ ღია, დემოკრატიული და თანამედროვე საზოგადოების აშენებას ერაყში."**

## სად გამოჩნდება გენერალ დუდაევის ორეული?

ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის რეგიონული ოპერატიული შტაბის წარმომადგენლის პოლკოვნიკ ილია შაბალკინის განცხადებით, ჩეჩენ მებრძოლებს რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ქვეყანაში არეულობის გამოწვევა აქვთ დაგეგმილი. ამ მიზნის განსახორციელებლად, ისინი 1996 წელს მოკლული პრეზიდენტის გენერალ ჯოჰარ დუდაევის ორეულის ამოქმედებას აპირებენ, რათა დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ ის ცოცხალია. მისი თქმით, ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ჯოჰარ დუდაევი ცოცხალია.

შაბალკინმა განაცხადა, რომ დუდაევის რეანიმაციის მიზანს ჩეჩნეთში ვითარების გამწვავება წარმოადგენს. **"ჩვენი ინფორმაციის თანახმად, დუდაევის ორეული პანკისის ხეობაში აღმოჩნდა. მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში მისი დემონსტრირება ტელეკამერების წინ საქართველოში ან თურქეთში მოხდება,"** - განაცხადა შაბალკინმა.

ამ აქციის პერსპექტივებზე საუბრისას, შაბალკინმა აღნიშნა, რომ **"ჩეჩენი ბოევიკების იდეოლოგებსა და პროპაგანდისტებს მხედველობიდან აქვთ გამორჩენილი რამდენიმე ხნის წინ ფედერალური ტელეარხებით ნაჩვენები დოკუმენტური ფილმი ჯოხარ დუდაევის და სალმან რადუევის ოჯახების შესახებ."**

მისი თქმით, ფილმში დუდაევის და რადუევის ქვრივების მიერ საკმაოდ მკაფიოდ და ნათლად არის ნათქვამი, რომ მათი მეუღლეები დაიღუპნენ და ისინი ამას შეგუებულები არიან. **"დუდაევის ქვრივმა ალამ მეუღლის სიკვდილი აღიარა და დუდაევების გვარის თანხმობით გათხოვდა კიდეც,"** - დასძინა პოლკოვნიკმა შაბალკინმა.

## "იზაბელას" გამო აშშ-ს მთავრობა საგანგებო რეჟიმზე გადავიდა

უკვე ორი დღეა, რაც აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს უძლიერესი ქარიშხალი "იზაბელა" ემუქრება. აშშ-ს საზღვაო-სამხედრო ხომალდებმა უკვე დაიწყეს ვირჯინიის შტატში ნორფოლკის ბაზის დატოვება, ხოლო ბაზაზე მყოფი სამხედრო თვითმფრინავები კი აშშ-ს ცენტრალური რაიონებისკენ გადაადგილდებიან. ჩრდილოეთ კაროლინას შტატში შემავალ კუნძულებზე მცხოვრები რამდენიმე ათასი ადამიანი უკვე ტოვებს საცხოვრებელ სახლებს. როგორც ცნობილი გახდა, ჩრდილოეთ კაროლინა პირველი ტერიტორია იქნება, რომელსაც "იზაბელა" დაატყდება თავს.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, ქარიშხალს ამჟამად ბაჰამის კუნძულებს, დაახლოებით, 700 კილომეტრი აშორებს და ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით საათში 170 კილომეტრის სიჩქარით გადაადგილდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს ქარიშხალი შესაძლოა, უკვე დღეს ეწვიოს. რაც მოჰყვება ამას, ყველასათვის ცხადია.

ქარიშხალ "იზაბელას" შესახებ პრეზიდენტ ბუშს რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას. შესაბამის სტრუქტურებს უკვე მიეცათ განკარგულება სტიქიასთან ბრძოლის შესახებ. აშშ-ს ყველა სახელმწიფო სტრუქტურა მუშაობის საგანგებო რეჟიმზეა გადაყვანილი.

საგანგებო მდგომარეობაზეა გადაყვანილი აშშ-ს თავდაცვის სამინისტრო. სამინისტროს ხელმძღვანელობას სტიქიის სავარაუდო რაიონებიდან საბრძოლო ტექნიკის და აღჭურვილობის ევაკუაცია აქვს დავალებული. ეს კი არც თუ ადვილ მისიას წარმოადგენს. ნორფოლკის ბაზის პარალელურად, იცლება ვირჯინია-ბიჩის სამხედრო-საზღვაო ბაზაც, საიდანაც დღეისათვის უკვე გაყვანილია, დაახლოებით, 45 სამხედრო ხომალდი და წყალქვეშა ნავი. ვიცე-ადმირალის ჰერი ჰარხედის განცხადებით, მოძრაობაში მყოფ ხომალდებს უფრო ნაკლები ზიანი მიადგებათ.

ქარიშხალი "იზაბელა" ოთხი წლის განმავლობაში პირველი იქნება, რომელიც აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს დაატყდება თავს. 1999 წელს ამ ტერიტორიაზე მოვარდნილმა ქარიშხალმა "ფლეიდმა" 59 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

# ლიცენზია ყველასთვის

უეფას მოთხოვნით საფეხბურთო ფედერაციებმა თავიანთი კლუბების ლიცენზირება უნდა ჩაატარონ. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროტურნირებზე გამსვლელი კლუბები უნდა აკმაყოფილებდნენ აუცილებელ საფეხბურთო კრიტერიუმებს. ერთი სიტყვით, როგორც ლიცენზირების კომიტეტის ხელმძღვანელმა მურად ანჯაფარიძემ აღნიშნა, ფეხბურთის სისტემა სისტემაშია მოსაყვანი.

ლიცენზირების ახალი სისტემა ფინანსური მხარის გამჭვირვალობას მოითხოვს.

ის 2004 წლის მაისიდან ამოქმედდება. სწორედ ამის შესახებ იყო საუბარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ სხდომაზე. ანჯაფარიძის თქმით, ახლა მუშაობა მიმდინარეობს იმისთვის, რომ კლუბები ამ სისტემას შეუერთდნენ. იმართება სამუშაო შეხვედრები გუნდებთან. ჯერჯერობით, ლიცენზირების საკითხით "დინამო", "ლოკომოტივი" და "ვიტ ჯორჯია" დაინტერესდნენ.

კლუბები, რომლებიც ლიცენზირების სისტემას (მოთხოვნებს) ვერ გაივლიან, ევროტურნირებს მიღმა დარჩებიან, მიუხედავად იმისა, კლუბი ჩემპიონი გახდება თუ თასს მოიპოვებს. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველია დსთ-ის სივრცეში, რომელსაც უეფას მხრიდან ლიცენზირება დაუმტკიცდა. სამუშაო შეხვედრები კვლავ გაგრძელდება.

ფორმულა 1

# ფერფლიდან აღმდგარი ფენიქსი



მიხაელ შუმახერი

ნინო პირველი

ამ დღის დიდხანს ელოდნენ "ფერარის" იტალიელი ტიფოზები და უფროსი "შუმის" გერმანელი ფანები. 15 ივნისის მერე, როცა მიხაელ შუმახერმა კანადის გრან-პრი მოიგო, "ფერარის" ხუთგზის ჩემპიონს გამარჯვება აღარ უგემია. ვინ აღარ იგებდა რბოლებს - "შუმის" უმცროსი ძმა რალფი, "ფერარის" მეორე პილოტი რუბენს ბარიკელო, "BMW უილიამსის" კოლუმბიელი ლიდერი ხუან პაბლო მონტოია, "რენოს" პიროვნიანი ფერნანდო ალონსო. მეექვსე ტიტულისთვის მებრძოლი მიხაელ შუმახერი კი შორიდან უყურებდა გამარჯვებულთა ტრიუმფს და ყველას არწმუნებდა, ჩემი დრო ისევ მოვაო... ხუთი რბოლა, არც ერთი გამარჯვება. ეს, მართლაც, ძალიან ცუდი შედეგი იყო და, ალბათ, გასაკვირიც არ არის, რომ ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს ნაკლებად სჯეროდათ "შუმის" ქადილის. მაგრამ ჩემპიონმა თავისი სიტყვა მაინც თქვა - გაიმარჯვა იტალიაში, იქ, სადაც ყველაზე მეტად უნდოდათ "ფერარის" წარმატება, სადაც ყველა შუმახერს უჭერდა მხარს. 14 სექტემბერს მიხაელ შუმახერმა თავისი 50-ე რბოლა მოიგო "ფერარის" წითელი ბოლიდით და რეკორდიც დაამყარა - მონცაში ის ყველა დროის ყველაზე სწრაფი პილოტი გახდა. ახლა მიხაელ შუმახერს ორი კვირის შემდეგ, ინდიანაპოლისშივე შეუძლია მეექვსე ტიტულის მოპოვება, თუ, რა თქმა უნდა, ხუან პაბლო მონტოიასა და კიმი რაიკონენს თავადვე არ მისცემს გასწრების საშუალებას.

რბოლის შემდეგ უფროსი "შუმი" უსაზღვროდ ბედნიერი იყო და არც ცდილობდა დიდი სიხარულის დაფარვას. ინტერვიუზეც არავისთვის უთქვამს უარი:

**- უკვე 50-ე გამარჯვებას ზეიმობთ "ფერარისთან" ერთად. რას განიცდით ამ წუთებში?**

- კარგა ხანია, რბოლა აღარ მოგვიგია. რამდენჯერმე სულელურად დავკარგეთ მეტად საჭირო ქულები. ზოგჯერ, როცა მახსენდება, რამდენი ქულის აღება შემეძლო გასულ რბოლებში, სინანული მიპყრობს. ზაფხულის პაუზა "ფერარიმ" კარგად გამოიყენა. უდიდესი მოტივაცია გვქონდა და ას პროცენტზე მეტი გავიღეთ რბოლის მოსაგებად. კვალიფიკაციის მერე უკვე ვიცოდი, რომ აუცილებლად გავიმარჯვებდით. ეს მთელი გუნდის სურვილი იყო. ყველას დიდ მადლობას ვუხდი. ჩემი გამარჯვება "ფერარის" ყველა წევრის დამსახურებაა. ეს დღე ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერია ჩემს კარიერაში.

**- ხუთი მოუგებელი რბოლის შემდეგ დღეს, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქეთ, არა?**

- ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებაა ჩვენთვის. მართლაც, რთულ სიტუაციაში ვიყავით, რაც "ფერარისთვის" ძალიან უჩვეულოა. მონცას რბოლისთვის განსაკუთრებით ვემზადებოდით. ყველამ ყველაფერი გააკეთა ამ რბოლის მოსაგებად. მათ დიდ მადლობას ვუხდი. "ფერარის" მთელი გუნდი ძალიან მიყვარს, არაჩვეულებრივი ხალხია!

**- სტარტიდან ცოტა ხნის შემდეგ ხუან პაბლო მონტოია წამოგეწიათ და თითქმის გაგისწროთ კიდეც....**

- თავიდან მე შევუტიე მონტოიას. ერთხანს ერთადაც მივდიოდით, შემდეგ მე შევძელი მისი ჩამოტოვება და გამარჯვებაც, ალბათ, სწორედ ამან განაპირობა.

**- გაგაოცათ ამ გამარჯვებამ?**

- მონცას ტრასა "ფერარისთვის" ბედნიერების მომტანია. შარშან აქ მე და ბარიკელომ გავიმარჯვეთ. მონცაში წარმატების მოპოვება ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო...

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ის ფაქტი, რომ ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე სწრაფად შეძლეთ რბოლის მოგება?**

- ამას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. რეკორდებზე გადარეული არასოდეს ვყოფილვარ. უფრო მეტად ის მიხარია, რომ "ფერარის" რიგებში 50-ე გამარჯვება მოვიპოვე.

**- სეზონის ბოლომდე ორი რბოლა დარჩა, თქვენ კი მხოლოდ სამი ქულით უსწრებთ მონტოიას და შვიდით - რაიკონენს. როგორ ფიქრობთ, ეს უპირატესობა საკმარისია მეექვსე ტიტულის მოსაპოვებლად?**

- ვფიქრობ, ბოლო ორი რბოლა ძალიან დაძაბული და საინტერესო იქნება. ჯერჯერობით, მეტს ვერაფერს გეტყვით. ჩვენ საგრძნობლად გავიუმჯობესეთ მდგომარეობა. "ფერარის" ახლა ძალიან ძლიერი ძრავა აქვს, რომელიც არასოდეს გვიღალატებს.

**- ბოლო ორი რბოლა ინდიანაპოლისსა და სუძუკაში ვისთვის იქნება წარმატების მომტანი?**

- ინდიანაპოლისის ტრასა ძალიან ჰგავს მონცას და მონრეალს. იქ ჩვენ მოგების დიდი შანსი გვაქვს. სუძუკაშიც შეიძლება გამარჯვების მოპოვება. წინასწარ რამეს თქმა ძნელია. მანამდე დიდი დროა. ტესტ-რბოლების დროს რაღაც-რაღაცებს, ალბათ, კიდევ გავაუმჯობესებთ. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი: მჯერა, რომ მეექვსე ტიტული არც ისე შორსაა ჩემგან.

TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 18 სექტემბერი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:20 ჩემპიონთა ლიგა. "დინამო" (უკრაინა) – "ლოკომოტივი" (რუსეთი)
15:00 ჩემპიონთა ლიგა. "არსენალი" – "ინტერი"
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "ცხრა"
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
18:10 ჩემპიონთა ლიგა. "ბავარია" – "სელტიკი"
19:55 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
20:25 "დარტყმა გოლისთვის"
20:40 თავისუფალი დარტყმა
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:05 ჩემპიონთა ლიგა. "იუვენტუსი" – "გალათასარაი"
22:50 ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა
00:50 გერმანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:20, 19:45, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. კანადა
12:35 "თეთრი მდინარე – 2003". მსოფლიო ჩემპიონატი რაფტინგში
13:20 "ათენის გზაზე"
15:00 თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ. ვაჟები. ქალები. ფინალები. შესვენებისას (17:00) პრესცენტრი
19:15 "ჩქაროსნული სამყარო"
20:00 ფიგურული სრიალი. შოუ წარმოდგენა
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
23:00 ჰოკეის საღამო
23:30 პროფესიული კრივი. მგერ მკრტჩიანი (რუსეთი) – დონი დევისი (აშშ)
01:00 ახალი ამბები
01:15 "ჩქაროსნული სამყარო"
01:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
02:15 ჰოკეის საღამო

**EUROSPORT**
11:30 გოლფი. PGA ტური. აშშ
12:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი კანადაში
13:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი დანიაში
14:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი დანიაში
15:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
17:30 ველორბოლა. ესპანეთის ტური
20:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
21:15 მოტორბოლები. ბრაზილიის გრან-პრი
22:00 მოტორბოლები. ბრაზილიის გრან-პრი
23:15 მოტორბოლები. ბრაზილიის გრან-პრი
00:15 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:00 ახალი ამბები
02:15 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
03:15 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# ინკვიზიცია იტალიურად

კახა ფაჩუაშვილი

გუშინ ლიგაში რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა, მაგრამ ქართველი გულშემატკივრის ინტერესი, ალბათ, კიევისკენ იყო მიპყრობილი, სადაც კიევის "დინამო" მოსკოვის "ლოკომოტივს" მასპინძლობდა. მოსკოველთა ძირითად შემადგენლობაში ჩვენმა თანამემამულე მიხეილ აშვეთიამ ითამაშა. რაც შეეხება მალხაზ ასათიანს სამწუხაროდ სიომინმა ის განაცხადშიც არ შეიყვანა.

კიეველთათვის მოულოდნელად "ლოკომოტივი" საკმაოდ ორგანიზებული ჩანდა და მეტოქეს გადამწყვეტი იერიშების განხორციელების საშუალებას არ აძლევდა. დიდ სამუშაოს ასრულებდა მიხეილ აშვეთიაც, მაგრამ ქართველი ფორვარდი კიეველი მცველების მარწუხებში იყო მოქცეული და საგოლე დარტყმის განხორციელება ვერ მოახერხა. მოსკოველებმა შესძლეს განსაკუთრებით პირველ ნახევარში საიმედოდ ჩაეკეტათ უკრაინელთა ყველაზე სახიფათო ფორვარდი დიეგო რინკონი. თუმცა, რინკონმა მაინც გაარღვია "ლოკომოტივის" დაცვა და მატჩის უკანასკნელ 7 წუთში ორჯერ აიღო ავჩინიკოვის კარი.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ კიევის "დინამო" და მოსკოვის "ლოკომოტივი" ჯგუფში მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ და მილანის "ინტერისა" და ლონდონის "არსენალის" ამბიციურ ბრძოლაში ვერ ჩაებმებიან, მაგრამ კიეველთა მთავარი მწვრთნელის ალექსეი მიხაილიჩენკოს თქმით "ჩვენ უაღრესად საინტერესო გუნდი გვყავს. გვაქვს ყველა რესურსი და შესაძლებლობა იმისთვის, რომ უმაღლეს დონეზე ვითამაშოთ. კარგად ვიცნობთ "არსენალისა" და "ინტერის" შესაძლებლობებსაც, ამიტომ ბოლომდე ვიბრძოლებთ" - ამბობს კიეველთა თავკაცი და ამის მყარი საფუძველიც აქვს.

ლონდონის "არსენალს" გუშინ "ინტერმა" ნამდვილი ინკვიზიცია მოუწყო. ასეთი უსუსური "არსენალი" კარგა ხანია არავის უნახავს და ლონდონელთა თამაშის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, ადვილი შესაძლებელია მერვედფინალში კიევის "დინამო" გავიდეს და არა ლონდონური კლუბი. "ინტერთან" თამაშის დაწყებამდე არსენ ვენგერი ამტკიცებდა, რომ მოვიდა დრო, როცა ლონდონის "არსენალმა" ევროპულ სარბიელზე თავისი სიტყვა უნდა თქვას. "ჩემი კლუბი საკმაოდ გამოცდილია იმისთვის, რომ გრანდებს ებრძოლოს. ჩვენ წელს ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის ვიბრძოლებთ" - თქვა ვენგერმა.



ალესანდრო დელ პიერომ ანგარიში გახსნა.

თუმცა დაიწყო თამაში და ნათელი გახდა, რომ "არსენალს" ლიგის ფავორიტთა შორის არაფერი ესაქმება. ვიერისა და რეკობას გარეშე დარჩენილმა "ინტერმა" 19 წუთში სამი გოლი გაუტანა არსენ ვენგერის ნაქებ გუნდს და მის გულშემატკივრებს ყოველგვარი ამბიცია ჩაუხშო. ბოლო წლებში ეს იყო "არსენალის" ყველაზე მწარე დამარცხება "ჰაიბერიზე" (მას აქამდე ლიგის მატჩებში ორი შეხვედრა ჰქონდა წაგებული. 2001 წელს ლა კორუნიის "დეპორტივოსთან" - 0:2 და შარშან საფრანგეთის "ოსერთან" - 1:2). ეს კი ნიშნავს, რომ ლონდონელები ჯგუფის უპირობო ფავორიტად ვერ ჩაითვლებიან.

მოვლენები საინტერესოდ განვითარდა მიუნხენშიც. აქ "ბაიერნმა" "სელტიკს" უმასპინძლა. სტუმრებს ამ შეხვედრაში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ გლაზგოელთა მწვრთნელი მარტინ ო`ლირი ამ კონტინგენტითაც სამი ქულის აღებას გეგმავდა. საბოლოოდ "სელტიკი" მაინც დამარცხდა - 1:2, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოტმარ ჰიტცფელდის გუნდს ძალიან გაუჭირდა და რომ არა თამაშის დამთავრებამდე როი მაკაის გოლი, არავინ იცის, იქნებ ო`ლირს მართლაც წაელო მიუნხენიდან სამი ქულა. ანგარიში ტომპსონმა გახსნა, რასაც ჰოლანდიელმა მაკაიმ 73-ე და 86-ე წუთებზე ორი გოლით უპასუხა და "ბაიერნმა" პირველი გამარჯვება მოიპოვა. ამავე ჯგუფში "ლიონმა" ბელგიის "ანდერლეხტი" დაამარცხა და "ბაიერნთან" ერთად სათავეში მოექცა სატურნირო ცხრილს.

ტურინის "იუვენტუსმა" მაინც გატეხა კერკეტი კაკალი "გალათასარაი". ამ შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი ჩირო ფერარამ 73-ე წუთზე გაიტანა. ლიგის დებიუტანტმა სან-სებასტიანის "რეალ სოსიედადმა" კი დარკო კოვაჩევიჩის მიერ მე-80 წუთზე პენალტით გატანილი ერთადერთი გოლით დაამარცხა საბერძნეთის "ოლიმპიაკოსი". რაც შეეხება C ჯგუფს, აქ სატურნირო ცხრილს სათავეში ფრანგული "მონაკო" ჩაუდგა, რომელმაც ჰოლანდიაში დაამარცხა "პსვ ეინდჰოვენი" - 2:1. მადრიდის "რეალიდან" გადასული ფერნანდო მორიენტესისა და სისეს გოლებს, 65 წუთზე ბოუმამ ერთით უპასუხა. "დეპორტივოსა" და აეკის შეხვედრა ათენში დასრულდა ფრედ - 1:1.

A ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| ბაიერნი | 2 - 1 | სელტიკი |
| ლიონი | 1 - 0 | ანდერლეხტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 2 | ლიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 3 | სელტიკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 4 | ანდერლეხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

B ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | 0 - 3 | ინტერი |
| დინამო | 2 - 0 | ლოკომოტივი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 2 | დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 3 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 4 | არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

C ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| აეკ | 1 - 1 | დეპორტივო |
| ეინდჰოვენი | 1 - 2 | მონაკო |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მონაკო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 2 | დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 3 | აეკ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 4 | ეინდჰოვენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

D ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 - 1 | გალათასარაი |
| სოსიედადი | 1 - 0 | ოლიმპიაკოსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 2 | სოსიედადი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 3 | გალათასარაი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 4 | ოლიმპიაკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

ჭიდაობა

# ოქროც და ბრინჯაოც თბილისშია

პირველი გვერდიდან

**- შარშან პირველად გახდი მსოფლიო ჩემპიონი, წლეულს კი ტიტული დაიცვი. იქნებ შეადარო ადრეული და ახლანდელი ფინალები. თეირანის მსოფლიო ჩემპიონატისგან განსხვავებით, ახლა უფრო მშვიდად გამოიყურებოდი, თუმცა, გამარჯვება უფრო ემოციურად აღნიშნე...**

- საქმე ის არის, რომ ჩემს გამარჯვებაზე იყო დამოკიდებული საქართველოს ნაკრების გუნდური ჩემპიონობა - ოქროს მედალი გუნდურ პირველ ადგილს გვაძლევდა. ამიტომაც ძალიან გამიხარდა გამარჯვება.

**- შეხვედრის შუაწელში ალი რეზა ჰეიდარის სამქულიან გდებას შენგან გამარჯვებულის ჟესტიკულაცია მოჰყვა. წინ კი სამ წუთზე მეტი იყო დარჩენილი.**

- მივხვდი, რომ ველარ დამამარცხებდა. საკუთარი თავის რწმენა უფრო გამიძლიერდა.

**- გაისად ათენის ოლიმპიური თამაშებია, იგივე მეტოქეებთან მოგიწევს შეხვედრა. როგორ ფიქრობ, იქ რა მოხდება?**

- ჩემს ყულაბას ოლიმპიური ოქროს მედალი აკლია. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველას მადლობა გადავუხადო, ყველას, ვინც აქ მოვიდა და ვინც ვერ მოვიდა. დიდი მადლობა თანადგომისთვის. ჩემი წარმატება მათი დამსახურებაცაა.



ორგზის მსოფლიო ჩემპიონის შემდეგ რევაზ მინდორაშვილსაც გავესაუბრე:

**- წლეულს ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებასა და მსოფლიო ჩემპიონატზე დაკავებულ მესამე ადგილს როგორ შეადარებდი?**

- ალბათ, ახლა უფრო გამიჭირდა. მაინც მსოფლიო ჩემპიონატია, მეტია დაძაბულობა, თუმცა, გამარჯვებაც შემეძლო, მაგრამ...

**- მიზეზი?**

- ჩემპიონატამდე ორი კვირით ადრე ავად ვიყავი. ნიუ იორკში კი ფორმის აღდგენა ვერ მოვასწარი.

პრობლემა

# დავით ჭელიძე: "მერიის სპორტის სამსახური ბიუჯეტს არ არღვევს"

მიხეილ აბაიშვილი

ორი დღის წინ ჭადრაკის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან სერიოზული ბრალდებები გაისმა თბილისის მერიის სპორტის სამსახურისა და მისი ხელმძღვანელის დავით ჭელიძის მიმართ. გუშინ "24 საათმა" უკვე შემოგთავაზათ ამ პრესკონფერენციის ანგარიში. დღეს გთავაზობთ დავით ჭელიძის კომენტარს.

- უაღრესად დიდ პატივს ვცემ ქართულ საჭადრაკო სამყაროს და ყოველთვის, როდესაც თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურს შესაძლებლობა მისცემია, ჭადრაკის ინტერესები ბოლომდე დაგვიცავს. ამიტომ ჩემთვის გულსატკენია ის ბრალდებები, რომლებიც მათ წამოგვიყენეს. გვედავებიან, თითქოს სპორტის ბიუჯეტის სეკვესტრთან დაკავშირებით ჭადრაკის ფედერაცია საქმის კურსში არ ჩავაყენეთ. ჯერ ერთი, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი თავად ბრძანდება იმ საკრებულოს წევრი, რომელმაც ეს ბიუჯეტი დაამტკიცა. ამიტომ, მიმაჩნია, რომ უფრო მეტად უნდა ყოფილიყო ჩართული ამ პროცესებში. საკრებულოში ბევრი ძველი სპორტსმენია. სამწუხაროდ, როდესაც ბიუჯეტი მტკიცდებოდა, სპორტსმენთაგან იქ თითქმის არავინ მინახავს. ეს ეხება არა მხოლოდ ძირითადს, არამედ სპორტის ბიუჯეტსაც. საკრებულომ ჩვენს მიერ მოთხოვნილი 2 მილიონი ლარის ნაცვლად 800 ათასი დაამტკიცა, აქვე ჩადო სპეცპროგრამების სახსრებიც და, საბოლოოდ, ღონისძიებებისა და სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად 400 ათასი ლარი დაგვრჩა. ამ თანხაში ჭადრაკის წილი 15 ათასით გაგვისაზღვრეს. თბილისის მერიის სპორტის სამსახური შპს არ არის, რომ ჩვენი ნებით გავანაწილოთ ბიუჯეტი. ბიუჯეტი კანონია და ჩვენც საკრებულოს მიერ დამტკიცებული ამ კანონის მიხედვით ვმოქმედებთ. თანაც, ტურნირი, რომლის გამოც ეს ამბავი ატყდა, ევროპის საკლუბო ჩემპიონატია, რომლის დაფინანსება ჩვენს სამსახურს არ ევალება. მით უმეტეს, რომ ტურნირი კომერციულ ხასიათს ატარებს. ეს დაახლოებით იგივეა, თბილისის "დინამომ" უეფას ტურნირებში მონაწილეობის დაფინანსება მოგვთხოვოს.

**- რისი დაფინანსება ეხება თბილისის სპორტის საქალაქო სამსახურს და რა არის თქვენი ზრუნვის ძირითადი ობიექტი?**

- ჩვენი სამსახურის მთავარი და ერთადერთი ფუნქციაა ქალაქ თბილისში სპორტის განვითარება. რატომღაც, ჩვენს სამსახურს აღიქვამენ ისე, როგორც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დანამატს ან განაყოფს, ჰგონიათ, რომ ჩვენი სამსახური ვალდებულია, დააფინანსოს ყველა სპორტული ღონისძიება. ჩვენ გვაქვს ჩვენი წესდება და დებულება, სადაც მკაცრადაა განსაზღვრული სამსახურის საქმიანობის არეალი და კომპეტენცია – თბილისის სპორტი. ჩვენ ბიუჯეტს გვიდგენს ქალაქის მთავრობა და ამტკიცებს საკრებულო. თუმცა, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გამო ხდება გამონაკლისებიც. არის შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ღონისძიებებსაც ვაფინანსებთ. გაგახსენებთ მოსკოვში ერთი წლის წინ გამართულ ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს, სადაც ქართული დელეგაციის მივლინება თითქმის მთლიანად თბილისის მერიამ დააფინანსა. თუმცა, ყოველი ასეთი გამონაკლისი თბილისის საკრებულოს განხილვის საგანია და მხოლოდ ამ უწყების ვიზირების შემდეგ ჯდება ის ბიუჯეტში. სხვათა შორის, შარშან და შარშანწინ ამ კუთხით ჭადრაკისთვის გამოყოფილმა თანხამ ჯამში 77 ათასი ლარი შეადგინა.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ბრაზილიელი სუპერ-ფორვარდი რომარიო კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა. "ვამაყობ იმით, რასაც საფეხბურთო კარიერის განმავლობაში მივაღწიე, თუმცა, ყველაფერი ეს წარსულშია. ვფიქრობ, დადგა დრო, ადგილი ახალგაზრდა ფეხბურთელებს დავუთმო", - განაცხადა 37 წლის რომარიომ. მისი სიტყვები, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს. აქამდე ის ხშირად იმეორებდა, რომ კარიერის დასრულებაზე კიდევ დიდხანს არ იფიქრებდა. ახლა "ფლუმინენსეს" თავდამსხმელი საკუთარი კლუბის თამაშით მეტისმეტად უკმაყოფილოა და ამაში თავის წილ პასუხისმგებლობასაც გრძნობს. კარიერის დასრულების შემდეგ რომარიო, ალბათ, კუთვნილი თანხის მიღებისთვის დაიწყებს ზრუნვას – ცნობილია, რომ რამდენიმე კლუბს, სახელფასო დავალიანების სახით, რომარიოსთვის 14 მილიონი დოლარი აქვს გადასახდელი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "ნიუკასლისა" და ირლანდიის ნაკრების მეკარეს, ჩვენთვის კარგად ნაცნობ შეი გივენს ეჭვი აქვს, რომ რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში მან კისერი მოიტეხა. იმ შეხვედრის შემდეგ გივენმა ერთი მატჩი ჩაატარა "ნიუკასლის" შემადგენლობაში, მაგრამ ის მაინც ფიქრობს, რომ კისერი აქვს მოტეხილი. რუსეთთან მატჩში გივენი თანაგუნდელს შეეჯახა, მისი თქმით, ამ დროს მან სპეციფიკური, მტვრევის ხმა გაიგონა. "მგონი, კისერი მაქვს მოტეხილი. ვშიშობ, ადრეულ ასაკში კარიერის დასრულება არ მომიხდეს", - განაცხადა 27 წლის გივენმა. იმედია, სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმები გივენს სწორ დიაგნოზს დაუსვამენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის მე-10 საკვალიფიკაციო ჯგუფში ორი თამაშიღა დარჩა – რუსეთი-საქართველო და შვეიცარია-ირლანდია. ჩვენგან განსხვავებით, შვეიცარიისა და ირლანდიისთვის უკანასკნელ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს. შვეიცარიელები კარგ გუნებაზე უნდა იყვნენ: ამ მატჩში კვლავ შეძლებს თამაშს გუნდის კაპიტანი ჰაკან იაკინი. იაკინმა თიაქრის ოპერაცია გაიკეთა და იძულებითი შესვენება ჰქონდა. თუმცა, ირლანდიის წინააღმდეგ ის უკვე შეძლებს თამაშს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომის "ლაციოს" იუგოსლაველი ლეგიონერი დეიან სტანკოვიჩი, შესაძლოა, მილანის "ინტერში" გადავიდეს. თავის ახლანდელ კლუბთან სტანკოვიჩს მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი, მისი გაგრძელების თაობაზე მოლაპარაკებები კი ჩიხშია შესული. სტანკოვიჩს "ლაციოში" დარჩენა სურდა, თუმცა, ახლა "ინტერის" მიერ შეთავაზებული მაღალი ხელფასი ხიბლავს. იუგოსლაველი ნახევარმცველის შეძენის სურვილი ტურინის "იუვენტუსმაც" გამოთქვა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უკრაინის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა - გასულ კვირას თანამდებობიდან გადადგა ლეონიდ ბურიაკი. უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია ახალი მწვრთნელის ძიებას შეუდგა. ფედერაციის პრეზიდენტის, გრიგორი სურკისის თქმით, ნაკრების მომავალი მწვრთნელი აუცილებლად უცხოელი, სახელოვანი მწვრთნელი უნდა იყოს, თანაც, სლავური წარმომავლობის. და აი, პირველი კანდიდატიც გამოჩნდა. ეს პოსტი უკრაინელებმა ბულგარეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს დიმიტარ პენევს შესთავაზეს. ბულგარული პრესის ინფორმაციით, პენევს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

■ ■ ■

**კრივი.** ბერლინში გაიმართა ბრძოლა ქვესაშუალო წონაში WBA-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ამ ვაკანტური წოდებისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელი ხოსე ანტონიო რივერა და გერმანელი მიხაელ ტრაბანტი, რომელიც მანამდე დაუმარცხებელი იყო. ტრაბანტმა 38 ბრძოლა გამართა და ყველა მოიგო. WBA-ის ფედერაციამ ეს ტიტული მას შემდეგ გამოაცხადა ვაკანტურად, რაც ჩემპიონი რიკარდო მაიორგა "სუპერჩემპიონად" შეირაცხა. WBA-ის ახალი ჩემპიონი კი გახდა რივერა, რომელმაც ქულებით გაიმარჯვა. სამი რეფერიდან ორმა რივერას გამარჯვება დააფიქსირა - 116:114, 116:111, 114:114. ამასთან, მეორე რაუნდში ტრაბანტი ნოკდაუნშიც აღმოჩნდა.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** ფრანკფურტის სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ დისკვალიფიკაცია მოუხსნა 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ შტეფან შტაინვეგს. შეგახსენებთ, რომ გერმანელი მას შემდეგ დაითხოვეს საერთაშორისო შეჯიბრებიდან, რაც ავსტრალიელმა მებაჟეებმა მის ბარგში აკრძალული პრეპარატები აღმოაჩინეს. გერმანიის ველოსპორტის ფედერაციამ გაოცება ვერ დაფარა სასამართლოს გადაწყვეტილების გამო.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "მონრეალის" თავდამსხმელი ჩედ კლიგერი საავადმყოფოში აღმოჩნდა - ვარჯიშზე მას თანაგუნდელის მიერ მოქნეული ყვიჯი მოხვდა თვალში. ტრავმის ხარისხი, სრული გამოკვლევის შემდეგ, რამდენიმე დღეში გაირკვევა. შარშან კლიგერმა "კანადიენსის" რიგებში 9 გოლი გაიტანა და 7 შედეგიანი გადაცემა განახორციელა.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ელმარ ლიხტენეგერი დოპინგზე გასინჯეს. სპორტსმენისთვის სამწუხაროდ, დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. ამის შესახებ განაცხადა ავსტრიის მძლეოსნობის კავშირის ხელმძღვანელობამ. დამატებითი დოპინგ-ტესტი ლიხტენეგერს 2003 წლის ივნისში ჩაუტარეს. ახლა სპორტსმენს ჩამოერთმევა ჯილდო, რომელიც მან ვენის ტურნირზე მოიპოვა.

*შოუბიზნესი*

## ბრძოლა ორ ვაშლს შორის




ლონდონურმა ხმისჩამწერმა კომპანიამ Apple Corps-მა, რომელიც "ბითლზის" განუყოფელი ნაწილია, სასამართლოში სარჩელი შეიტანა ამერიკული კომპიუტერული კომპანიის წინააღმდეგ. საქმე იმაშია, რომ ამერიკული კომპანია იყენებს Apple სახელწოდებას და ლოგოტიპს საკუთარი მუსიკალური პროდუქციის გაყიდვის სასარგებლოდ, ამით კი არღვევს რამდენიმე წლის წინათ ლონდონურ თანამოსახელე კომპანიასთან დადებულ შეთანხმებას.

Apple Corps-ის ხელმძღვანელობა (მისი მფლობელები კი არიან: სერ პოლ მაკარტნი, რინგო სტარი და ჰარისონისა და ლენონის ქვრივები) მიიჩნევს, რომ კომპიუტერული გიგანტის მიერ ინტერნეტ-მაღაზიის ITunes-ის გახსნით (სადაც მომხმარებელი ფულს იხდის გადაქაჩული სიმღერებისთვის), ფაქტობრივად ამერიკული კომპანია უარს ამბობს შეთანხმების შესრულებაზე. ამის გამო, ლონდონურმა კომპანიამ სარჩელი შეიტანა ლონდონის უმაღლეს სასამართლოში და ითხოვს ზარალის ანაზღაურებასა და შეთანხმების დაცვას. 1977 წლიდან, მას შემდეგ, რაც დაარსდა Apple Computers, ეს არ არის ორ "ვაშლს" შორის არსებული ბრძოლის პირველი შემთხვევა.

ITunes-ის ვებ-საიტზე დღეისათვის დაახლოებით 200 ათასამდე სიმღერაა გამოტანილი. სულ, მაღაზიამ მუშაობის დაწყებიდან დღემდე 10 მილიონი მუსიკალური ფაილი გაყიდა.

## მუსიკა ჰონგ კონგისათვის

ჰონგ კონგში ტურისტული ინდუსტრიის განახლებისთვის ემზადებიან. პარასკევიდან იქ იყიდება ბილეთები მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსების პირველ კონცერტზე დასასწრებად. ასეთი საღამოები, ორგანიზატორების აზრით, ხელს შეუწყობს ჰონგ კონგის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას, რაზეც ატიპური პნევმონიის აქტიურობამ მეტად უარყოფითად იმოქმედა.

კონცერტების სერია, რომელიც მომავალი თვიდან გაიმართება ჰონგ კონგში, მცდელობაა რეგიონში გასართობი ცენტრის იმიჯი აღადგინონ. პირველი ასეთი ღონისძიებისთვის ისეთი სუპერვარსკვლავები მიიწვიეს, როგორებიც არიან: "როლინგ სტოუნზი" (შეგახსენებთ, მარტის ბოლოს "სტოუნზებმა" ატიპური პნევმონიის გამო, ორი დაგეგმილი კონცერტი ჩაშალეს ჰონგ კონგში), კარლოს სანტანა, "ვესტლაიფი".

კონცერტები უქმე დღეებში გაიმართება. ყოველ მეოთხე კონცერტში კი მონაწილეობას მიიღებენ ევროპელი და აზიელი ვარსკვლავები. ერთი შეხედვით ასეთ უწყინარ იდეას ჰონგ კონგში უკვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. მათი აზრით, მიუღებელია ქვეყნისთვის ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ამ მუსიკალური საღამოებისთვის არის დაგეგმილი.

## ფილმები ჩეჩნეთზე



ვაშინგტონში დაიწყო ჩეჩნეთზე გადაღებული ფილმების ფესტივალი. ფესტივალს ორგანიზატორობენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა: "საერთაშორისო ამნისტია", "ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაცია", Human Rights Watch, სამოქალაქო თავისუფლების ფონდი "მემორიალი" და ანდრეი სახაროვის ფონდი.

"ეს ფილმები აჩვენებს იმ ყველაზე დაუჯერებელ ძალადობას, რომელიც კი ყოფილა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ", - წერია საფესტივალო პრეს-რელიზში.

ფესტივალი 15 სექტემბერს ჰოლოკოსტის მემორიალურ მუზეუმში გაიხსნა. ფილმის "სალამი გროზნოდან" ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ჩეჩნეთიდან რეპორტაჟების გარდა, პროგრამაში ჩართულია ბრიტანული დოკუმენტური ფილმი "ნორდ-ოსტის" აღებაზე; ასევე ფრანგული გამოძიება "თავდასხმა რუსეთზე", რომელიც 1999 წელს მოსკოვში მომხდარ აფეთქებას ეძღვნება. ფესტივალის ორგანიზატორები ამ ფილმების ასლებს ამერიკის ყველა კონგრესმენს გაუგზავნიან.

ვაშინგტონის შემდეგ ფესტივალი ნიუ იორკში გადაინაცვლებს. იქ 25 სექტემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაში დაგეგმილია რუსეთის პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა. ამერიკის შემდეგ კი ფილმებს მოსკოვში ჩაიტანენ. რეტროსპექტივა ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებს მიეძღვნება.

# მუდამ ფრონტის წინა ხაზზე

### თბილისში რობერტ კაპას უნიკალური ფოტოები ჩამოაქვთ

ვერა ნეფარიძე

*დღეს თბილისში რობერტ კაპას ბიოგრაფი ჩამოდის. რიჩარდ ველანი საქართველოში ლეგენდარული ფოტოსააგენტო "მაგნუმის" ერთ-ერთი დამაარსებლის, მსოფლიოს უდიდესი სამხედრო ფოტოგრაფის საქართველოში გადაღებულ ნამუშევრებს ჩამოიტანს. ეს ფოტოები ორმაგად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ჩვენთვის, რადგანაც რამდენიმე ნამუშევარი უნიკალურია ისტორიული თვალსაზრისითაც. კაპას ნამუშევრებს შორისაა პატრიარქ კალისტრატეს ფოტოები, რომლებიც პატრიარქის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი დოკუმენტური მასალაა. გამოფენა თბილისში ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. რიჩარდ ველანი კი წაიკითხავს ლექციებს მეოცე საუკუნის უდიდესი ფოტოგრაფის შესახებ.*




*რობერტ კაპას ერთ-ერთი შედევრი*

"ერთ მშვენიერ დღეს სტაინბეკმა უთხრა კაპას, საბჭოთა კავშირში წასვლას ვაპირებ, მაინტერესებს ჩემი ბოლო ვიზიტის (1936 წ.) შემდეგ როგორ შეიცვალა იქაურობაო. ეს იყო სწორედ ის, რასაც ეძიებდა კაპა. როგორც თავად ფოტოგრაფი გვამცნობს: ჩვენ გადავწყვიტეთ გადაქცევა ფათერაკების მაძიებელ ძველმოდურ დონ კიხოტად და სანჩო პანსად, რათა "რკინის ფარდის" მიღმა ჩვენი კალმებით, შუბებითა და ობიექტივებით შევბრძოლებოდით ამჟამინდელ ქარის წისქვილებს. სტალინგრადიდან გავემგზავრეთ საქართველოში, სადაც გერმანელებს არასდროს მიუღწევიათ და რომელიც არის საბჭოთა რუსეთისა და შესაძლოა, მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მხარე. ქართველები უკეთესად არიან ჩაცმულნი, უფრო ხალისიანად გამოიყურებიან და ჩვენ მივხვდით, როგორი იქნებოდა საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომი რომ არ გაჩაღებულიყო. საქართველოდან წამოსვლისას გაგვიმართეს პირველი ნამდვილად ოფიციალური წვეულება, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველი მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები და მოცეკვავენი. საღამო დაიწყო ჩვეული სადღეგრძელოებით. საღამო გრძელდებოდა და სადღეგრძელოები მოკლდებოდა. დილის სამ საათზე ყველანი ვცეკვავდით ქართულ ცეკვებს", - ასეთია ნაწყვეტი რიჩარდ ველანის ბიოგრაფიული წიგნიდან "რობერტ კაპა. პასაჟი, რომელიც მოგვითხრობს ფოტოგრაფის საქართველოში გატარებულ მცირე პერიოდს, გრძელდება, თუ როგორ გაატარეს ოკეანისგაღმელმა სტუმრებმა უზომო ჭამითა და აურაცხელი შთაბეჭდილებებით საქართველოში ათი დღე. ეს იყო 1947 წლის ზაფხული.

ამ მოგზაურობიდან თითქმის 60 წლის შემდეგ, თბილისში პირველად ეწყობა რობერტ კაპას საქართველოში გადაღებული ნამუშევრების გამოფენა. თბილისში რიჩარდ ველანის მოწვევის იდეა პარლამენტის კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის ინიციატივაა. კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამ იდეის შესახებ წერილობით მიუმართავს საქართველოში აშშ-ს საელჩოსთვის. თხოვნას კი თან დაურთო საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერის წერილი. ეს არის პირველი პროექტი, რითაც მუშაობას იწყებს საქართველოში აშშ-ს საელჩოს კულტურის ახლადდანიშნული ატაშე როენა ქროს-ნაჯაფი. ეს ყველაფერი კი ალბათ არ განხორციელდებოდა მინისა და მინერალური წყლების კომპანია "ბორჯომის" ფინანსური მხარდაჭერის გარეშე.

რიჩარდ ველენი დიდი ფოტოგრაფის ცნობილი ბიოგრაფია. კულტურის დამოუკიდებელ ისტორიკოსს, რობერტ და ქორნელ კაპების არქივების კონსულტანტ-კურატორს კაპას შესახებ გამოცემული აქვს წიგნები; არის რამდენიმე ფილმის ავტორი. რობერტ და ქორნელ კაპების ნამუშევართა გამოფენებით მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში; კითხულობს ლექციებს. რიჩარ ველანი თბილისში ერთ კვირას დარჩება. გამოფენის გახსნასთან ერთად კი გაიმართება ველენის ლექციები რობერტ კაპასა და უახლესი ამერიკული ფოტოგრაფიის შესახებ; ასევე დაგეგმილია კულტურული ღონისძიებები. თბილისის შემდეგ კი ნავარაუდევია გამოფენის ბათუმში წაღება.

# ოსტატი - ალექსანდრე საკოვი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ამ ფოტოხელოვანს წარდგენა არ სჭირდება. ქართული და საბჭოთა საგაზეთო რეპორტაჟების წარმოდგენა მის გარეშე დღეს უკვე წარმოუდგენელი იქნებოდა. მისი ფოტოსურათები დასავლეთის უდიდეს ჟურნალებში – Life, Stern, Pari Match თუ Quick-ში იბეჭდება. 1970 წლიდან ალექსანდრე სააკოვის ნამუშევრები სამგზის გამოქვეყნდა ანთოლოგიაში "ევროპის 100 საუკეთესო ფოტო". მან 120-ზე მეტ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ჯილდოს მფლობელი გახდა. ალექსანდრე სააკოვის ფოტოსურათები მსოფლიოს მრავალ მუზეუმსა თუ კერძო კოლექციაშია დაცული.

შესაბამისად, ამ ოსტატის ცხოვრებისა თუ შემოქმედების შესახებ მოყოლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. უბრალოდ, იმის აღნიშვნა მინდა, რომ გალერეა "ნიუ არტში" გახსნილი გამოფენის პლაკატზე მითითებული Master: Alexandr Saakow თავისთავადაა გამოფენის ხარისხის საწინდარი.



*ალექსანდრე სააკოვი საკუთარი ნამუშევრების ფონზე*

ალექსანდრე გოგავა, მარიამ ჭუმბურიძე, ნინო ბიგვავა, ანა ჩაჩუა და ტატა ათანელი მხოლოდ სამი თვის წინათ გახდნენ ფოტოსკოლა Kodak Photo World Photo School-ის მოსწავლეები. ნატა კოლსონმა გადაღება ერთი თვის წინათ დაიწყო, მაგრამ მისი პედაგოგის, ბატონ ალექსანდრეს თქმით, სხვებს არაფრით ჩამორჩება - სწავლების მეთოდიკაა ასეთი. მასწავლებელი მათ ნამუშევრებს ამაყად შესცქეროდა (რამდენიმე სურათზე თავად ოსტატიც იყო აღბეჭდილი), და უნდა ითქვას, რომ ისევე, როგორც გამოფენის მონაწილეებს, მას ნამდვილად მოსალოცად ჰქონდა საქმე. შეიძლება, მათზე მეტადაც კი, რადგან იმის ფონზე, რომ ფოტოგადაღება რატომღაც ყველას იოლ საქმედ მიაჩნია – რა უნდა, დააჩხაკუნებ და მორჩა, მთავარია, ფოკუსი იყოს გასწორებულიო – ბატონ ალექსანდრეს შეუძლია თამამად განაცხადოს, რომ ნამდვილ ფოტოგრაფთა ახალ თაობას ზრდის. "თუ ასე განაგრძო, კარგი ხელოვანი დადგება," - გამიზიარა მან აზრი თავისი ყველაზე უმცროსი მოსწავლის შესახებ. იმედია, განაგრძობს კიდეც, რატომაც არა!?

ახალგაზრდა ფოტოგრაფთა ასაკი 15-დან 25 წლამდეა. ისინი ძალიან სიმპათიური ხალხია და, უჟმური ამინდისა და თავისმომაბეზრებელი წვიმის მიუხედავად, გამოფენაზეც ასეთივე სასიამოვნო საზოგადოება იყო მობრძანებული.

ეს ახალგაზრდები განსაკუთრებულს არაფერს იგონებენ – იმას იღებენ, რასაც ყოველი ჩვენგანი ხედავს. მაგრამ ის, რასაც "ნიუ არტის" დარბაზში იხილავთ, არამარტო ოსტატის მიერ მიცემული დავალების შესრულების შედეგია, არამედ არაჩვეულებრივი სამყაროც გახლავთ, რომელშიც ყველაფერი ლამაზია – ადამიანები, ცხოველები, თბილისური სახლები, ზოგისთვის უცნობი ქალაქის ქუჩები, და ქუჩაში მსხდომი მათხოვრებიც კი არ არიან "ჩერნუშნი" პერსონაჟები. მოკლედ, ცხოვრება მშვენიერია.

# ქორწილი არ იქნება!

### ჯეი ლოუ და ბენ აფლეკი პრესისგან ისვენებენ?

*დღეისათვის ჰოლივუდის ყველაზე პოპულარულმა წყვილმა მასმედიისგან დასვენების საბაბით ქორწილის ჩაშლა მოიფიქრა. საეჭვოა, რამდენად დაისვენებს ლოპეს-აფლეკის ვარსკვლავური წყვილი ამის შემდეგ. უფრო სავარაუდოა, ალბათ ეს იყოს მათი მორიგი ფანდი, რითაც არცთუ იშვიათად უმასპინძლდებიან მასმედიას. როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია: კვირას დაგეგმილი გრანდიოზული ქორწილი, რომელსაც ასე ელოდა შოუ-ბიზნესის სიახლეების მოყვარული მსოფლიო საზოგადოება, გაურკვეველი ვადით გადაიდო.*

ზუსტად ჯერ კიდევ არავინ იცის უკანასკნელ დღეებში გახმაურებული ცნობით, ჰოლივუდურმა წყვილმა კიდევ ერთხელ იხუმრა თუ მათ შორის მართლაც ყველაფერი დასრულდა?! როგორც ამბობენ, წყვილი განშორების პირას ჯერ კიდევ მაშინ აღმოჩნდა, როდესაც პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ 31 წლის ბენ აფლეკი ერთ-ერთ სტრიპტიზ-კლუბს სტუმრობდა. მართალია, 33 წლის ჯენიფერ ლოპესი სახალხოდ ამბობდა, რომ საქმროს გულახდილად შეუნდო და ამ ფაქტს მის გრძნობებზე არანაირად არ უმოქმედია, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ამ დროს დაიძაბა მათ შორის ურთიერთობა. თუმცა, ფაქტია – პირველი უსიამოვნება მაშინ წყვილმა წარმატებით გადალახა.

როგორც ცნობილია, კვირას სანტა-ბარბარაში უნდა გამართულიყო დღეისათვის ყველაზე პოპულარული ჰოლივუდელი წყვილის – ჯენიფერ ლოპესისა და ბენ აფლეკის ქორწილი. მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა პოლიციამ გულახდილად გააფრთხილა საპატარძლო, რომ ვერ მისცემდნენ მას ასპროცენტიან გარანტიას, რომ ცერემონიალი პაპარაცების გარეშე ჩაივლიდა, ვარსკვლავი წყობიდან გამოვიდა, უხმო სასიძოს და განაცხადა: "ამ ცერემონიალისადმი პრესის გამძაფრებული ყურადღების გამო, ქორწილს განუსაზღვრელი დროით გადავავადებთ. როდესაც დავიწყეთ ფიქრი, ხომ არ დაგვექირავებინა ორეულები პაპარაცების თვალის ასახვევად, მივხვდით, რომ ყველაფერი ჩვენთვის არცთუ სასურველი მიმართულებით მიდიოდა; დავრწმუნდით, რომ ეს დღე არ იქნებოდა ჩვენთვის ყველაზე ბედნიერი. არ გვსურს დაირღვეს ქორწინების საიდუმლო, ხოლო დღესასწაული, რომელსაც მოვაწყობთ ჩვენი ახლობლებისთვის – გავაფუჭოთ".



*ბენსა და ჯენის ერთმანეთი უყვართ – იქნება ქორწილი?*

ასეთმა მოულოდნელმა განცხადებამ, როგორც ამბობენ, წყვილის მეგობრები და ახლობლები (რომელთა შორისაც არიან მსოფლიო შოუ-ბიზნესის ცნობილი სახეები: მადონა, ბრიტნი სპირსი, რობი ვილიამსი, მეტ დეიმონი, კოლინ ფარელი და ა.შ) მეტად გააოგნა და შეაწუხა. ხოლო, "როიტერის" ცნობით, პარასკევს ლოპესი და აფლეკი აეროპორტიდან სხვადასხვა მიმართულებით გაფრინდნენ. ეს მოხდა მაშინვე, როდესაც წყვილმა ქორწილის ჩაშლის შესახებ განაცხადა. ლოპესი მაიამიში, საკუთარი რეზიდენციისკენ გაეშურა, საიდანაც კანადაში გაფრინდება. სწორედ იქ არის დაგეგმილი გადაღებები ახალი ფილმისთვის. რაც შეეხება ბენ აფლეკს, სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, მსახიობს რამდენიმე ხნის წინათ გაუფრთხილებია მეგობრები ჯენიფერთან განშორების შესახებ. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ჟურნალისტებს აქვთ სერიოზული საბაბი იმისათვის, რომ მომხდარის სინამდვილეში ეჭვი შეიტანონ.

ჟურნალისტების თავდასხმისაგან თავდასაცავად ლოპესი და აფლეკი საკმაოდ ხშირად იტყუებოდნენ. ისინი ხან იმას ამტკიცებდნენ, რომ აპირებდნენ ჰავაიზე დაეწერათ ჯვარი, ხანაც რომელიმე ეგზოტიკური ადგილის სახელს მოიფიქრებდნენ. მათ კი, ვინც საქორწილო სამზადისისთვის ჰყავდათ დაქირავებული, ავალდებულებდნენ, საიდუმლოდ შეენახათ ყველა დეტალი. მაგრამ, ზუსტად ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე, ყველაფერი უკვე ცნობილი იყო პრესისთვის. ჟურნალისტებმა იცოდნენ, თუ კონკრეტულად რომელ ტაძარში იყო დაგეგმილი ჯვრისწერა, სად იგეგმებოდა სტუმრების მიღება, რომელ სასტუმროში გაატარებდა წყვილი თაფლობის თვეს, და იცოდნენ ისიც, თუ როგორი თაიგული ჰქონდა ლოპესს შეკვეთილიი.

საქორწილო დღესასწაული კი მართლაც გრანდიოზული იგეგმებოდა. აუზის თავზე უკვე დამზადებული იყო საცეკვაო მოედანი, დაქირავებულები იყვნენ სპეცეფექტების სპეციალისტები. მათ ევალებოდათ განათების დახმარებით წყვილის პირველი საცეკვაო ნომრის შესრულებისას შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს ისინი წყლის ქვეშ ცეკვავდნენ. ჯვრისწერისთვის შეკვეთილი კაბა ლოპესს ნახევარი მილიონი ამერიკული დოლარი დაუჯდა, დაახლოებით ამდენივე გაილო ყვავილებისთვის.

ჟურნალისტების ნაწილი დღესაც მიიჩნევს, რომ სანტა-ბარბარას ქორწილის შესახებ ისტორიები კარგად მოფიქრებული, პრესის დასაპურებელი ტყუილები იყო, სინამდვილეში კი ლოპესი და აფლეკი კარგა ხნის დაქორწინებულები არიან. შესაძლოა, ეს ვერსია მართალიც აღმოჩნდეს, მაგრამ ვიდრე ეს ყველაფერი გაირკვევა, ჯენიფერ ლოპესისა და ბენ აფლეკის სასიყვარულო ისტორიის დასრულების ეს ვერსია ამჟამად მოცლილებისთვის ყველაზე საინტერესო და დიდი საჭორაო თემაა.

# ბონოს ახალი სიტყვა



*ბონო პრესკონფერენციაზე*

თვალი უკვე შეეჩვია იმას, რომ U2-ს ლიდერი ისევე ხშირად ჩნდება პოლიტიკოსებთან ერთად, როგორც მღერის. ბილ კლინტონთან გაჩაღებული მეგობრობა მან ბუშის ადმინისტრაციასთანაც გააგრძელა. გუშინ მან ჯორჯ ბუშს შიდსის საერთაშორისო ფონდის დაფინანსებაზე ჩამოუგდო სიტყვა. ბუშთან მეგობრული შელაპარაკება მქონდაო, - განუცხადა ბონომ ჟურნალისტებს, რომელიც პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე პრესას ერთი წლის წინანდელი აფრიკული ტურნეს შემდეგ აღარ დალაპარაკებია. მაშინ შიდსით დაავადებულ აფრიკელებს ის აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან პოლ ო`ნილთან ერთად სტუმრობდა.

"შიდსის პრობლემა ბუშსაც ძალიან აწუხებს, ეს კარგად ვიცი, უბრალოდ, მას ციფრებში არ ვეთანხმები", - განაცხადა გუშინ მუსიკოსმა და გააპროტესტა ის ფაქტი, რომ აშშ-ს კონგრესმა შიდსის საერთაშორისო პროგრამა 2004 წლისთვის მხოლოდ 2 მილიარდი დოლარით დააფინანსა. ირლანდიელი როკერი მეტ თანხას ითხოვს. ფონდის გასაზრდელად ის საფრანგეთის პრეზიდენტსაც ეწვია და შირაკს დამატებითი თანხების გამოყოფა სთხოვა.

"შიდსი – ეს სიტყვა უკვე გლობალური განგაშის ნიშანი უნდა იყოს. ჩვენ ამერიკის ჯიბეში ფულის დასაცინცლად კი არ მივძვრებით, არამედ საშინელი დაავადებისგან ადამიანების დაცვა გვსურს. როდესაც ყოველდღიურად რამდენიმე ათასი ადამიანი იღუპება შიდსისგან, ეს უბრალო პრობლემა კი არა, საგანგებო სიტუაციაა", - განაცხადა მან.


სააქციო საზოგადოება "სანტე"-ს აქციონერთა საერთო კრება ჩატარდება ა.წ. 10 ოქტომბერს 12 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილის მე-10 კილომეტრი, ტელ: 70-77-76.

დღის წესრიგი:

1. 2002 წლის ანგარიში;
2. აუდიტორის დამტკიცება;
3 სხვა ორგანიზაციული საკითხები.

კრების სააღრიცხვო თარიღია 10 სექტემბერი.

სააქციო საზოგადოება "თბილტრანსექსპედიციის" აქციონერთა კრება ჩატარდება 2003 წლის 8 ოქტომბერს დღის 12 საათზე. მისამართი: მუხათგვერდის დასახლება (ს/ს "ქარვანის" ადმინისტრაციულ კორპუსიში).

დღის წესრიგი:

1. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია (ნატურით გამოყოფა)
2. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია (შერწყმა)
3. რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა
4. სამეთვალყურო საბჭოს არჩევა.

სააქციო საზოგადოება "ქარვანას" აქციონერთა კრება ჩატარდება 2003 წლის 8 ოქტომბერს დღის 12 საათზე. მისამართი: მუხათგვერდის დასახლება (ს/ს "ქარვანის" ადმინისტრაციულ კორპუსიში).

დღის წესრიგი:

1. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია (ნატურით გამოყოფა)
2. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია (შერწყმა)
3. რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა
4. სამეთვალყურო საბჭოს არჩევა.

**პროექტი "ქართული სახლი"**
**კონკურსი - "ქართული დიზაინი"**

პროექტ "ქართულის სახლის" ეგიდით, 24 სექტემბერს, 15 საათზე, ღია ცის ქვეშ მუზეუმში გაიმართება კონკურსის "ქართულის დიზაინი" შედეგების შეჯამება და გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოვება.

**კონკურსის საპრიზო ფონდია**: I პრემია - 4000 ლარი
- II პრემია (ორი) - 2000 ლარი
- III პრემია (სამი) - 1000 ლარი
- კონკურსის ჟიურის თავჯდომარეა **გივი მეტრეველი**.
- დაწესებულია სპეციალური პრიზი - 500 ლარი, რომლის თაობაზე გადაწყვეტილებას ჟურნალისტების ალტერნატიული ჟიური მიიღებს.

**კონკურსის ორგანიზატორები:**
- კომპანია "არსი"
- სტუდია "ორი"

**კონკურსის სპონსორები:**
TBC - ბანკი, GPI ჰოლდინგი, კომპანია "არსი", GGMW კომპანია, სტუდია "ორი", კომპანია "ორრი", "რუსთავი 2" და ვალერი გელაშვილი

**საინფორმაციო მხარდაჭერა:**
გაზეთები - "24 საათი", "დილის გაზეთი", "ახალი ეპოქა", "რეზონანსი".
ჟურნალები: "გზა", "თბილისელები", "სტილი".

**კონკურსის პრომოუტერი:** საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა"

**კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ: ტელ.: 251904, (877) 497103 .**
**www.georgianhouse.ge**

## TV პროგრამა
### 18 სექტემბერი

**რუსთავი - 2**

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური“ **11.00** სერიალი „სოპრანოს კლანი“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა. „იუვენტუსი“-„გალათასარაი“ **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი „მაშველები“ **19.10** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა „საქართველო-უახლესი ისტორია“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** თოქშოუ **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **00.40** მხ.ფილმი „პოლიციელი“. მთ. რ-ში: ჯეიმს ვუდსი, ლესლი ენ უორენი.

**პირველი არხი**

**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი „საუკეთესო საუკეთესოთა შორის-2“ **11.25** ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05, 15.15** ჩოგბურთელ ქალთა საერთ. ტურნირი **17.05** დოკ.სერიალი „პალიტრა“ **17.35** რამპა **17.40** მულტსერიალი „კიტუ“ **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.30** ავიაშოუ **21.45** ეკონომიქსი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „მარკიზ დე სადი“.

**პირველი სტერეო**

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „მძღოლი“ მთ.რ-ში ტეი დიგზი, ნია ლონგი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** „ბრავო“ „ავტორიტეტები“. მთ. რ-ში მორგან ფრიმენი, დეიმონ მური. **01.40** „ღამურა“ „პარასკევი 13“ მთ. რ-ში ემი სტილი, ჯონ ფიურნი. **03.00** პაუზის გარეშე.

**მეორე არხი**

**19.00, 22.00** „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „დაკარგული ბავშვთა ქალაქი“ **21.00** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი“.

**იბერია**

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „კუბი“ **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „ჯოჯოხეთის ცათამბჯენი“.

**მეცხრე არხი**

**08.00** პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** მულტსერიალი „კონკია“ **10.35** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **11.10** სერიალი „ინდიგოს მიწა“ **12.10** მხ. ფილმი „გრძელი შაბათ-კვირა“ **13.35, 15.15, 17.50, 18.50, 22.35** მუსიკა **14.00** კინოგადაცემა „ნუმერატორი“ **14.50** „ევროპის სტადიონებზე“ **15.30** მხ. სერიალი „გამანადგურებლები“ **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „კონკია“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „ინდიგოს მიწა“ **20.00** „ქართული ფეხბურთი“ **21.10** სერიალი „გამანადგურებლები“ **22.00** „ყვითელი კვადრატი“ **22.25** „ტელემეტრი“ **22.55** მოკლ. მხ. ფილმი „შეხება“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.30** რუს. მხ. ფილმი „როცა წმინდანები მარშირებენ“.

**იმედი**

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 01.05** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** „ერთხელ ჰოლივუდში“ **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „ამაზონია“ **15.15** მხ. ფილმი „იყო ერთი პოლიციელი“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.50** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **20.15** სპ. პროგრამა „ესტაფეტა“ **20.40** „დროებითი ზღვარი“ **23.15** კინოვარსკვლავთა ღამე „ვარსკვლავთა ქვეშ“.

**აჭარა**

**08.00, 14.00, 18.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.10, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **09.20** ვესთერნი „ომი ველურ დასავლეთში“ **11.35** დოკუმენტური ფილმი **12.20** დრამა „შემოდგომის ლეგენდები“ **14.35** საბავშვო ფილმი „ბინგო“ **16.20** მულტფილმი „სასწაულებრივი გადარჩენა“ **17.25** მხატვრული ფილმი „შაოლინის ტაძარი“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.25** დრამა „ორნი ქალაქში“ **23.00** „ექსკლუზივი“ (ავტორი ბ. კუტუბიძე, რ.ურუშაძე) **00.45** საინფორმაციო გამოშვება უცხო ენებზე **01.00** თრილერი „ბრიგადა“ 14 ს. **02.00** დოკუმენტური ფილმი **03.40** კომედია „ჩვეულებრივი სასწაული“

# როგორ გადაურბინა თეთრი სახლისკენ მიმავალ გზაზე იორკის ჰერცოგმა არნოლდ შვარცენეგერს

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-დან

*მიუხედავად იმისა, რომ კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნები ერთი წლით გადაიდო, ტერმინატორის კანდიდატურის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი არ ცხრება. ფიქრობენ, რომ არნოლდ შვარცენეგერს უფრო დიდი გეგმები აქვს და პრეზიდენტობას უმიზნებს. ჰოლივუდის ვარსკვლავს ეს შანსი, შესაძლოა, რეალურადაც მიეცეს, თუ აშშ-ს კონსტიტუციაში 28-ე შესწორებას შეიტანენ.*


*მე თქვენი პრეზიდენტობის შანსი მაქვს*

რონალდ რეიგანი არნოლდ შვარცენეგერის იდეალია. სხვათა შორის, გასულ წელს მან შეუკვეთა და საზეიმოდ გახსნა ექს-პრეზიდენტი მსახიობის ბიუსტი. გზამკვლევი კინოვარსკვლავის კვალზე მოარული არნოლდი ცდილობს ჰოლივუდიდან – კინოს დედაქალაქიდან საკრამენტოში – კალიფორნიის დედაქალაქში გადაბარგდეს. ტერმინატორს გუბერნატორობა სწადია.

რა თქმა უნდა, შვარცენეგერი წინააღმდეგი არ არის უფრო შორსაც წავიდეს რეიგანის კვალზე – ვაშინგტონში, თეთრ სახლში. მაგრამ ამას ხელს უშლის ერთი გეოგრაფიული გარემოება, რაც კონსტიტუციიდან გამომდინარეობს. რეიგანი დიქსონში დაიბადა, აშშ-ში, ილინოისის შტატში, შვარცენეგერი – ავსტრიაში. აშშ-ს 216 წლის წინ მიღებული კონსტიტუციის მიხედვით კი, ქვეყნის პრეზიდენტი მხოლოდ ის ადამიანი შეიძლება გახდეს, ვინც ამ ქვეყანაში დაიბადა (Native born citizen).

არაფერია მუდმივი ამ დედამიწაზე. თვით აშშ-ს კონსტიტუციაც კი. კონსტიტუციის არსებობის ორი საუკუნის მანძილზე მასში ცვლილებები შეიტანეს. დღეისათვის უკვე 27 შესწორება დაგროვდა. უკანასკნელი შესწორება 1992 წელს შეიტანეს. ეს შესწორება კრძალავს კონგრესმენთა ხელფასის ზრდას კაპიტოლიუმში მათი ყოფნის ვადის პერიოდში. აშშ-ს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა დიდი სახლაფორთო საქმეა. ამისათვის აუცილებელია კონგრესის ორივე პალატის ხმათა ორი მესამედი. მაგრამ, ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. კონგრესის მიერ მოწონებული შესწორება რატიფიცირებული უნდა იქნას შტატების საკანონმდებლო კრების სამი მეოთხედის მიერ.

ამჟამად კონგრესის კულუარებში კონსტიტუციის 28-ე შესწორებას განიხილავენ. ის ეხება სწორედ Native born citizen-ის მუხლს. სენატში ეს შესწორება შეიტანა ორინ ჰეტჩმა, რესპუბლიკელმა იუტის შტატიდან. ჰეტჩი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის არჩევნების ახლანდელი წესი "მოძველებულია და დისკრიმინაციულ და ანტიამერიკულ ხასიათს ატარებს". ჰეტჩი ამბობს: "ჩვენი ერი იმიგრანტების ერია. იმიგრანტები არიან ყოფილი სახელმწიფო მდივნები ჰენრი კისინჯერი და მადლენ ოლბრაიტი, ბუშის კაბინეტის წევრები ეილინ ჩასი და მელ მარტინესი, მიჩიგანის გუბერნატორი ჯენიფერ გრენჰოლი. არცერთ ამ მაღალკვალიფიციურ პატრიოტ ამერიკელ მოქალაქეს არ შეუძლია იყოს პრეზიდენტობის კანონიერი კანდიდატი." გაგახსენებთ, რომ უოტერგეიტისა და პრეზიდენტ ნიქსონის გადადგომის შემდეგ აშშ-ში გავრცელდა ხმები კონსტიტუციის შეცვლის შესახებ სპეციალურად "კისინჯერისთვის", რადგანაც ნიქსონის შემცვლელი ფორდი აშკარად "ვერ ქაჩავდა". ექს-პრეზიდენტი ჯონსონი ფორდის შესახებ ამბობდა: "ამ ყმაწვილს სიარული და ფიქრი ერთდროულად არ შეუძლია. ახალგაზრდობაში მეტისმეტად იყო გატაცებული ფეხბურთით და, როგორც ჩანს, ტვინი იღრძო."


*შვარცენეგერის კუმირი რეიგანი*

ჰეტჩის ანალოგიური შესწორება შეიტანა წარმომადგენელთა პალატაში კონგრესმენმა ვიკ სნაიდერმა, დემოკრატმა არკანზასის შტატიდან. სენატორ ჰეტჩის პროექტის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს აშშ-ს ნებისმიერი მოქალაქე, თუ მას მოქალაქეობა მინიმუმ 20 წელია მიღებული აქვს. აქედან 14 წელი ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა ცხოვრობდეს. კონგრესმენ სნაიდერის პროექტის მიხედვით, აშშ-ს პრეზიდენტი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე ნატურალიზაციის მინიმუმ 35-წლიანი სტაჟით. სნაიდერი აღიარებს, რომ კონგრესი ალბათ არც ისე მალე განიხილავს მის და ჰეტჩის პროექტებს, მაგრამ იქვე შენიშნავს გორბაჩოვისებურად - "პროცესი დაიძრა". სნაიდერის პროექტს სპონსორობას უწევს ასევე დემოკრატი კონგრესმენი მასაჩუსეტსის შტატიდან, კაპიტოლიუმში ერთადერთი დაუფარავი ჰომოსექსუალისტი კანონმდებელი ბერნი ფრენკი. ის წარმოადგენს რაიონს ბოსტონის შემოგარენში, რომელიც მჭიდროდ არის დასახლებული იმიგრანტებით, ძირითადად პორტუგალიიდან და რუსეთიდან ჩასული მოსახლეობით.

სენატორმა ჰეტჩმა კონსტიტუციაში შესწორების პროექტი წელს ივლისის თვეში შეიტანა. სენატში გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ამერიკელები, რომლებიც ქვეყნის საზღვრებს გარეთ დაიბადნენ, მსახურობენ ჯარში, არიან სენატის და წარმომადგენელთა პალატის წევრები, მინისტრები და გუბერნატორები. შვიდასზე მეტი ამერიკელი-იმიგრანტი დაჯილდოებულია ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი – ღირსების ორდენით. დემოკრატებს, თავის მხრივ, მოჰყავთ მიჩიგანის გუბერნატორის, გრენჰოლმის მაგალითი. ის კანადაში დაიბადა. ოთხი წლის იყო, როდესაც შტატებში ჩავიდა. 16 წლისამ დოკუმენტები შეიტანა ნატურალიზაციისათვის, ხოლო 21 წლისა აშშ-ს მოქალაქე გახდა. გრენჰოლმი, რასაკვირველია, მხარს უჭერს ჰეტჩისა და სნაიდერის პროექტებს. "შენ არ შეგიძლია დაბადების ადგილი აირჩიო, მაგრამ შენ შეგიძლია აირჩიო ადგილი, სადაც გსურს ცხოვრება, ქვეყანა, რომლის მოქალქეობაც გინდა, – ამბობს იგი, - თუ მიზეზი ლოიალობის პრობლემაა, და ასეც არის, მოქალაქეობის პირობა 25 წლის (ან უფრო მეტი ხნის) ხანგრძლივობით სავსებით აგვარიდებს ამ საშიშროებას." თუმცა გრენჰოლმი იმასაც დასძენს, რომ თვითონ პრეზიდენტობისკენ არ მიისწრაფის.

აშშ-ს დამაარსებელი მამები კონსტიტუციის ტექსტზე მუშაობის დროს აქტიურად განიხილავდნენ და დავობდნენ იმ კანონების ლეგიტიმურობის საკითხზე, რომლებიც უცხოელი-იმიგრანტების უფლებებს ზღუდავდა. მაგრამ ეს ეხებოდა კონგრესის წევრობას. პრეზიდენტობის საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. პრეზიდენტობა მხოლოდ Native born-ს შეეძლო. როგორც ამერიკელი ისტორიკოსი ადამ როტმენი წერს, დამაარსებელ მამებს ეშინოდათ, რომ ქვეყანაში ძალაუფლება უცხოელებს არ ჩაეგდოთ ხელში. "შეერთებული შტატები ახალი გამოსული იყო საერთაშორისო არენაზე. მაშინ ის მხოლოდ წვრილი თევზი იყო დიდ და საზარელ ჭაობში. ამიტომ ისინი შიშობდნენ, რომ ინგლისსა ან საფრანგეთს მასზე გადამწყვეტი გავლენა არ მოეხდინათ," – ამბობს როტმენი. მამა-დამაარსებლების შიშს სავსებით კონკრეტული საფუძველი ჰქონდა. ბრიტანეთის სამეფო, რომელმაც ბრძოლის ველზე მარცხი განიცადა, კონსტიტუციური რევანშის გეგმებს აწყობდა – "შეეგზავნა" აშშ-ში მეფე გეორგ III – იორკის ჰერცოგი, რათა ის სათავეში ჩასდგომოდა გამოყოფილ ამერიკის კოლონიებს, მაგრამ უკვე აშშ-ს პრეზიდენტის სახით.

აი, ასე (თავისდა უნებურად) გადაუღობა ორასი წლის წინ თეთრი სახლისკენ მიმავალი გზა იორკის ჰერცოგმა არნოლდ შვარცენეგერს.


## სწავლა ლონდონში
### ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 27 ნოემბერი.

**MBA** მარკეტინგი / ფინანსები / IT / ელექტრონული კომერცია / HRM / პროექტის მენეჯმენტი

**MSc** საინფორმაციო ტექნოლოგიები / კომპიუტერული სისტემის ინჟინერია / ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი **£3950**

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 6950. 3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

**ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად**

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ. იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მიღწევა არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 49
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია
მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83






**მოსწავლეთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი "მზიური" აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას

პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში. მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები

მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
ტელ: 29 48 61, 95 45 75, 91 03 17

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.





